# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 2011 წელი.

№2 (6613)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


განცხადება

# მოშიმშილე ომის ვეტერანების სასტიკი დარბევა ხელისუფლების პარანოიკული გამოხდომაა!..



ქ. თბილისი. 2011 წლის იანვარი

## ქართული პოლიცია იქცა პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა შემსრულებელ ბრმა იარაღად

**ნინო ბურჯანაძე:** სააკაშვილმა საკუთარი მოსახლეობა ომში მიატოვა და უკან მოუხედავად, მიწაზე ფორთხვით გაიქცა. სწორედ ამიტომ სააკაშვილს არ სჭირდება ძლიერი, ღირსეული არმია და მიზანმიმართულად შეურაცხყოფს და ანგრევს ქართულ ჯარს.



ქ. გორი. 2008 წლის აგვისტო

**მოშიმშილე** ომის ვეტერანების სასტიკი მეთოდებით დარბევა არის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური უპასუხისმგებლობის, ცინიზმის, ადამიანის კონსტიტუციური უფლებების ფეხქვეშ გათელვის, ზნეობრივი სიბრმავის მორიგი გამოვლინება.

„ქართული აკადემია“ თანადგომას უცხადებს ომის ვეტერანებს, გმობს ხელისუფლების ამ პარანოიკულ გამოხდომას და მოითხოვს:

1. სასწრაფოდ გამოვლინდეს ამ დანაშაულებრივი და ამორალური გადაწყვეტილების მიმღების ვინაობა და მოქმედების მოტივაცია.

2. დაიწყოს გამოძიება ამ სამარცხვინო აქტის შემსრულებელთა გამოსავლენად და კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად.

სამწუხაროა, რომ ქართული პოლიცია იქცა პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებათა შემსრულებელ ბრმა იარაღად.

მოვუწოდებთ საზოგადოებას, მკაცრი და ადეკვატური რეაგირება მისცეს ამ ალმაშფოთებელ ფაქტს, რომლის იგნორირება ფაქტობრივი წახალისება იქნება ხელისუფლების მხრიდან მასშტაბური რეპრესიების დაწყებისა და სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებისათვის.

„ქართული აკადემია“
4.I.2011



სააკაშვილი სანიმუშო პიონერი იყო... ⑧


მთავრობის სხდომები ④ ჩაქაფულის ჩამოტარებით...

ახალი წლის ღამის ② გრანდიოზული?! თანაც ვის ხარჯზე!?

## ახალწლის ღამეს



**გრანდიოზული ახალი წელი დადგა საქართველოში!**

**გრანდიოზული, ოღონდ მცირე წაბორძიკებით (აი, ისეთი მცირე, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საერთოდ რომ ვერ იგრძნო).**

**რა თქმა უნდა, ვერ იგრძნობდა.**

აბა, კაი დედ-მამის შვილი იყავი და ბათუმში, მიუხედავად საშინელი წვიმისა, გამოკლებოდი მაყურებელთა რიგებს (სულ ცოტა, „ენვერი 5“ გარანტირებული გქონდა), ან გულზე ხელი რომ დავიდოთ და ძალიანც რომ გდომებოდა, ვინ გაგიშვებდა, ისე იყო გადაკეტილი იქაურობა საპატრულო პოლიციით.

მიხვედი? ჩაეწერე სიაში? აიღე 20 ლარი არჩევნების დროს? ჰოდა კეთილი ინებე და იდექი წვიმაში.

ნეტა რამდენი გადაუხადა „კურიერმა“ იმ ბავშვებს, რომლებიც საინფორმაციო გამოშვების დროს გასულ სიუჟეტში, წვიმაში რომ ცეკვავდნენ? (მსახიობებს დღეში სულ ცოტა 50 ლარს უხდიან. კასკადიორებს უფრო მეტს).

იმ კონცერტს მეც ვუყურე სახლში. დივანზე წამოწოლილმა, ჭიქა ღვინით და ხაჭაპურით (ჰო, გოზინაყიც მქონდა და ბაჟეში ჩაწყობილი კაი მოზრდილი დედალიც) და მართლაც ვისიამოვნე.

რატომაც არა?

# გრანდიოზული?!
## თანაც ვის ხარჯზე!?

შეუდარებელნი იყვნენ ბოჩელი და ანანიაშვილი.

ბრწყინვალედ მღეროდნენ სოფო ნიჟარაძე და თამარ ივერი.

შესანიშნავად ცეკვავდნენ „სუხიშვილები“.

კუბელებზე და ბრაზილიელებზე აღარაფერს ვამბობ.

ეს ყველაფერი მართლაც ძალიან კარგი საყურებელი იყო. ძალიან კარგი, ოღონდ „გადახურულში“. დივანზე.

ახლა არ თქვათ: იმ ქალბატონს, რომელმაც სააკაშვილს მეორე დღეს, დიდი მადლობა რომ გადაუხადა წვიმაში ბოჩელის მოსმენისთვის, ან კლასიკური მუსიკის წვა და დაგვა ჰქონდა ბავშვობიდან, ან სუხიშვილების წყალში ცეკვა აინტერესებდაო.

და თქვენ დაიჯერეთ იმ ქალბატონის სიტყვები?

ისე, რა დაენანა ამ ხელისუფლებას. ერთი „ფენი“ მაინც გამოეყო ამ დასველებული ხალხისთვის თმების



გასაშრობად, მაგრამ... (არჩევნების დროს აღებული 20 ლარი ფულია გენაცვალე. 20 ლარს ხე კი არ ისხამს!)

არადა, მართლა მაგარი კონცერტი იყო „ევროპის მოედანზე“.

სასაცილოა, მაგრამ იმ „ევროპის“ მოედანზე, რომელიც თავის კავშირში არაფრისდიდებით არ გვლებულობს.

არადა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: — რატომ უნდა მიგვიღოს?

სად ტარდება ასეთი გრანდიოზული კონცერტები?

რომელ ევროპულ ქვეყანაში არის ასეთი წინსვლა?

ვინ გვჯობია ევროპელობაში?

შურთ, ბატონო, ჩვენი. შურთ და იმიტომაც არ ვუნდივართ.

ერთი ანეკდოტი გამახსენდა.

მთვრალი ქართველი დადის მოსკოვის მეტროში. იქ ერთ „მანდილოსანს“ მოუცაცუნა ხელი, იქ ვიღაც რუს კაცს გასცხო ქეჩოში. მერე ცოტა თავიც „შეიმსუბუქა“ და ვიღაცამ შენიშვნა მისცა: — „ჩტო ვი სებია პოზვოლიაიტეო“!

შემობრუნდა ეს ჩვენი ულვაშა და ძალიან გულნატკენი ხმით, ხმამაღლა აღმოთქვა ორასწლიანი დაგროვილი ბოღმა: — არ ვუყვარვართ ქართველები ამათი დედაო!!!!

ასეა ევროპაშიც.

ხან პლაჩიდო დომინგო ჩამოგვყავს, ხან ბოჩელის ამღერებ წვიმაში (არადა რუსებმა მეტი რომ ვერაფერი მოახერხეს, პუტინი ამღერეს. თანაც ახალწლამდე რამდენიმე კვირით ადრე). აქ წუწუმია მღერის „ლენინის მოედანზე“ (უჰ, უკაცრავად, „თავისუფლების მოედანზე“), თანაც ბიჭოლა ისეთ „შედევრებს ქმნის“...

ჰოდა, რატომ უნდა ვუყვარდეთ?

მე, მაგალითად, ძალიან მწყდება გული, როცა ტელევიზორში ვიღაც ბრაზილიელს ვუყურებ, რომელიც იმით ტრაბახობს, რომ მისი ქვეყანა ხუთჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთში. ამიტომ მუდამ წინააღმდეგი ვიქნები კავკასიური კულტურის განვითარების კავშირში ბრაზილიის მიღებისა.

ჰოდა, ევროპელებიც ზუსტად ასე იქცევიან.

ვაი, გამოდის, რომ მეც ევროპელი ვყოფილვარ.

კაი, ჯანდაბას, ვიქნები. ვიქნები, მაგრამ არც ისეთი დებილი, რომ ნანუკას რეპი მომესმინა ახალ წელს.

როგორც კი დაიწყო, მაშინვე გადავრთე.

ტექსტი მერე წავიკითხე ფეისბუკში (ევროპაა, რა!)

იმ ტექსტს ბოლომდე ვერ შემოგთავაზებთ.

მხოლოდ დასაწყისი და ბოლო „სტროფები“.

იწყებს გუნდი და „მღერის“:

„— გინახავთ ნანუკას შოუ! გინახავთ ნანუკას შოუ!“ (ასე რამდენჯერმე. რეპულად).

ამ დროს სცენაზე უკვე შემოსულია ნანუკა და იწყებს:

„— შენ იცი ვინ ვარ მე!

მე ვარ ნანუკა!

— მივდივარ წინ და დიდი მაქვს გზა უკან!

— დაწყნარდი, აქ ვარ და არ გინდა პანიკა!“

მერე მსგავსი ძაან მაგარი ფრაზები (დაახლოებით ასეთი: „იცით, რომ მაქვს ჩემი შოუ, საკმაოდ რეიტინგული, იუ ნოუ“, დ.ა.შ) და ბოლოს:

— იცით მე ჩემით შევიქმენი კარები!

— რაც მიყვარს მე, ის უნდა ვაკეთო!

და ბოლოს ისევ გუნდი!

ახლა რომ ვთქვა, „რას გვიშვება ეს მთავრობაო“, მაგარი სისულელე იქნება.

მთავრობა კი არ შვება რაიმე ცუდს. ვისაც ეს მოგწონთ აი ის „უშვებით“ სწორედ საკუთარ თავს.

კარგით რა. სტეფანეს და კახუჩელას (აუ, უკაცრავად, უკვე „კახაბერის“) დადგმული კონცერტი...

და თანაც „გრანდიოზული“!!!

რამდენსართულიანი სცენაც არ უნდა იყოს (გინება კი არა, სცენა!) იური ანტონოვი და „ზოგიერთების ფერი ეკრანი“ რომ მოგენატრება კაცს 2011 წელს.

რაც მართალია, ფილმები კარგი გაარჩიეს.

ქართული ტიტრებით გაშვებული „მიმინო“ და „არ დაიდარდო“.

„ნოტინგ ჰილით“ და „ეს სიყვარულიათი“ ჩანაცვლებული „ს ლიოგკიმ პარომ“.

და სამწუხაროდ ეს იყო ერთადერთი კარგი მთელს საახალწლო ტელეგადაცემებში.

არადა რა სისულელე იყო ყველა არხზე გაშვებული ერთნაირი „კურიოზები“ და აბსოლუტურად ერთმანეთის საწინააღმდეგო რეიტინგები.

ვერაფრით ვერ გავიგე, თუ რომელია პირველ ადგილზე.

რუსთავი 2, თუ იმედი. ეჰ, როდის გადაივლის ეს ახალი წლის დღესასწაული, რომ ისევ ერთ აზრზე დადგნენ ეს „მოქიშპე“ ტელეკომპანიები.

არადა, ყოველივე ამის მერე, თურმე ჩვენი შურთ როგორც რეგიონში, ასევე ევროპაშიც.

შურთ ჩვენი. ყველას შურს!!!

მეც მშურს (ოღონდ დედას გეფიცებით, მართლა „თეთრი შურით“). ნორმალური ქვეყნების მშურს.

იმ ქვეყნების, სადაც ცაში აფრენილ პრეზიდენტს, საინფორმაციო გამოშვების ჟურნალისტების „თხოვნით“, საფრენი ტრასიდან ძალიან მოცილებულ ადგილას მდგომი, ბავშვები არ შესჭყივლებენ.

იმ ქვეყნების, სადაც ახალი წლის ღამეს ხალხი ქუჩაში იმიტომ კი არ გამოდის, რომ სახლში საჭმელი არა აქვს, არამედ იმიტომ, რომ მართლა უხარია და ზეიმობს.

იმ ქვეყნების, სადაც საახალწლო, საშობაო, საალდგომო, საგაზაფხულო, საზაფხულო, საშემოდგომო და ნებისმიერ სხვა კონცერტზე, ერთი და იგივე, უკვე მილიონჯერ მოსმენილი და ყელში ამოსული სიმღერები კი არ ისმის, არამედ ახალი, ლამაზი და მართლაც საზეიმო განწყობის შემქმნელი მუსიკა ჟღერს.

იმ ქვეყნების, სადაც... თუმცა რა გითხრათ? თქვენ რა, ჩემზე უკეთ არ იცით?

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! დაესწარით მრავალს! (ოღონდ უკეთესად).

**გია გაბრიჭიძე**

## ინფორმაცია

# ხელისუფლებამ ჯარისკაცთა ღირსება ფეხქვეშ გათელა

**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო“ ვეტერანთა აქციის დაშლას „სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმად ჩამოყალიბებული ხელისუფლების მიერ დიქტატურისკენ გადადგმულ მორიგ ნაბიჯად“ აფასებს.**

— მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული პატივისცემითა და დაფასებით სარგებლობენ ჯარისკაცები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის მთლიანობასა და ღირსებას იცავენ. საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ კი, საკუთარი ჯარისკაცების ღირსება ფეხქვეშ კიდევ ერთხელ გათელა. შეურაცხყო დაღუპული გმირების ხსოვნა და მათ ფოტოებს ადგილი ნაგავსაყრელზე მიუჩინა, ომის ვეტერანებს შეუქმნა იმდენად მძიმე მორალური და სოციალური მდგომარეობა, რომ ისინი იძულებული გახადა, საკუთარი ღირსების დასაცავად პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის, შიმშილობისთვის მიემართათ, — ნათქვამია ნინო ბურჯანაძის პარტიის განცხადებაში.

ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობის“ შეფასებით, მთავარსარდალი სააკაშვილი მხდალი და დისკრედიტირებულია, რაც ქართველმა ჯარისკაცებმა ყველაზე უკეთ იციან.

— სააკაშვილმა საკუთარი მოსახლეობა ომში მიატოვა და უკან მოუხედავად, მიწაზე ფორთხვით გაიქცა. სწორედ ამიტომ სააკაშვილს არ სჭირდება ძლიერი, ღირსეული არმია და მიზანმიმართულად შეურაცხყოფს და ანგრევს ქართულ ჯარს. მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, უმწვავესი რეაგირება მოახდინონ საქართველოს ხელისუფლების ამ სამარცხვინო ქმედებაზე, რადგან დაუშვებელია მსგავსი ფაქტი მათი მხრიდან ადეკვატური რეაგირების გარეშე დარჩეს, — აღნიშნულია განცხადებაში.

# ვეტერანების აქციის დაშლა ერთი კაცის კაპრიზებზეა აგებული

**„ქართული პარტიის“ გენერალური მდივნის კოკა გუნცაძის განცხადებით, ვეტერანების აქციის დაშლით ხელისუფლებამ მისთვის დამახასიათებელი მორიგი სისასტიკე ჩაიდინა.**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებების მიერ ჩადენილ ამ ქმედებებს არაფერი აქვს საერთო კანონთან, საზოგადოებრივ წესრიგთან და სახელმწიფოებრიობასთან. ეს არის ერთი კაცის კაპრიზებზე აგებული კლასიკური სახის კორპორატიული დანაშაული, — განაცხადა გუნცაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

აღნიშნულის კონტექსტში, „ქართული პარტიის“ ლიდერი ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ასეთი „პრიმიტიული და ზღვარგადასული ძალადობა ანგარიშსწორების საშიშ და უმართავ პროცესს წარმოშობს, რაც ქვეყანას ძალიან მძიმე შედეგებამდე მიიყვანს და მომხდარზე პასუხისმგებლობა მმართველ ძალას დაეკისრება“.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კრიმინალი

# დააკავეს „რუსთავგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილე

**დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდების ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ დაკავებულია დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხი წევრი: ს/ს „რუსთავგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილე როსტომ ცერცვაძე, ამავე კომპანიის სამეწარმეო და კომუნალური მომსახურების უბნის უფროსი მურმან პაპუაშვილი, მთავარი სპეციალისტი გიორგი ეგუტიძე და შპს „მ და ბ“-ს დირექტორი შაქრო მიროტაძე.**

გამოძიების მიერ გაშიფრული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, ს/ს „რუსთავგაზს“, შპს „მ და ბ“-სა და ს/ს „იტერა-საქართველოს“ შორის 2009 წელს გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულების თანახმად, ს/ს „იტერა-საქართველო“ შპს „რუსთავგაზის“ შესაბამისი ქსელების მეშვეობით ბუნებრივ აირს აწვდიდა შპს „მ და ბ“-ს. თავის მხრივ, შპს „მ და ბ“ აღნიშნული ბუნებრივი აირის რეალიზაციას ავტომობილების გაზგასამართ სადგურზე ახდენდა.

ს/ს „რუსთავგაზი“, როგორც ბუნებრივი აირის საექსპლუატაციო ქსელის მფლობელი შპს „მ და ბ“-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის აღრიცხვიანობას აწარმოებდა სპეციალური კოლექტორით. სწორედ მრიცხველზე ასახული მონაცემების მიხედვით უნდა დადგენილიყო ს/ს „იტერა-საქართველოს“ მიერ მოწოდებული ბუნებრივი აირის ოდენობა, მისი რეალიზაციის მონაცემები და ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას განახორციელებდნენ ს/ს „რუსთავგაზიცა“ და შპს „მ და ბ“-ც.

მატერიალური გამორჩენისა და გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით შპს „მ და ბ“-ს დირექტორი შაქრო მიროტაძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ს/ს „რუსთავგაზის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს როსტომ ცერცვაძეს, სამეწარმეო და კომუნალური მომსახურების უბნის უფროსს მურმან პაპუაშვილს და ამავე უბნის უფროს სპეციალისტს გიორგი ეგუტიძეს. ისინი ურთიერთანგარიშსწორების აქტებში დოკუმენტურად ამცირებდნენ შპს „მ და ბ“-ს მიერ რეალურად გახარჯული ბუნებრივი აირის ოდენობას, ხელოვნურად, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ცვლიდნენ მრიცხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებს, რის საფუძველზეც იქმნებოდა ყალბი საგადასახადო დოკუმენტები.

აღნიშნულის გამო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე — ს/ს „იტერა-საქართველოს“.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მიხედვით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ეგზეკუცია







# მუშტი-კრივი გმირთა მოედანზე

გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან ვეტერანების აქცია სამართალდამცავებმა ძალის გამოყენებით დაშალეს და აქციის ათამდე მონაწილე დააკავეს.

დაკავების სპეცოპერაცია თითქმის ერთ საათს გაგრძელდა და ამ პერიოდის განმავლობაში, ვარაზის ხევზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეფერხებული იყო. სპეცოპერაციაში მონაწილეობას შსს-ს დანაყოფები – საპატრულო პოლიცია, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ასევე კრიმინალური პოლიცია იღებდა.

მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა გმირთა მოედანი აქციის მონაწილეებისგან გაათავისუფლეს, ტერიტორია თავად დაიკავეს და მას ცოცხალი კედლით იცავდნენ. ადგილზე რამდენიმე ათეული სამართალდამცავი იყო მობილიზებული.

დაახლოებით, 17:45 საათზე, მას შემდეგ, რაც ვეტერანები დააკავეს და სიტუაცია მიწყნარდა, პოლიციელთა ჯგუფი ვარაზის ხევის მიმართულებით დაიძრა. აღმოჩნდა, რომ საპატრულო პოლიციის მანქანაში რამდენიმე პირს სვამდნენ. მათგან ერთ-ერთი გიორგი კორკოტაშვილი (კორკოტაძ იყო.

მანამდე გმირთა მოედანზე აქციის უკანასკნელი მონაწილე, ვეტერანი დააკავეს, რომელიც ტერიტორიას არ ტოვებდა. ის „ინტერპრესნიუსს“ ესაუბრებოდა და აცხადებდა, რომ დაკავებული ვეტერანების დასახსნელად იბრძოლებდა. ამ საუბრის დროს, ვეტერანთან კუდი-ს თანამშრომელი მივიდა, გაიყვანა, დაელაპარაკა, რასაც შემდგომ აღნიშნული პირის დაკავება მოჰყვა.

ნახევარი საათით ადრე კი, სამართალდამცავებმა რამდენიმე ვეტერანი დააკავეს, რომლებიც გმირთა მოედანს ვარაზის ხევიდან ტოვებდნენ. ისინი ვარაზის ხევთან დააკავეს და პოლიციის მანქანებში ჩასვეს.

გმირთა მოედანზე სიტუაცია კი შეხლა-შემოხლის და ფიზიკური დაპირისპირების ფონზე წარიმართა. ვეტერანები პოლიციელებს წინააღმდეგობას უწევდნენ და მანქანებში ჩასხომაზე უარს აცხადებდნენ.

პირველად დააკავეს ევტერანი, რომელმაც პოლიციელის მიერ აქციაზე მყოფი ქალბატონის ფიზიკური შეურაცხყოფა გააპროტესტა. მან დაინახა, რომ ქალბატონს ცხვირიდან და პირიდან სისხლი მოსდიოდა, იგი ამაზე აღშფოთდა და ითხოვდა ეთქვათ, თუ ვინ დაარტყა ქალბატონს. ვეტერანი პოლიციამ დააკავა, რასაც აქციის სხვა მონაწილეების აღშფოთება მოჰყვა. ამის შემდეგ, პოლიციელებმა ვეტერანები მანქანაში ჩასვეს და ზოგიერთი მათგანი, გავრცელებული ინფორმაციით, ნარკოლოგიურში წაიყვანეს.

ადგილზე მხოლოდ პოლიციელები დარჩნენ. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, სახალხო კრების წევრები და არასამთავრობოები უკვე აღარ ჩანდნენ.

სანამ დაკავებები დაიწყებოდა, ვეტერანებთან გია ყარყარაშვილი მივიდა და აქციის მონაწილეებს დაშლისაკენ მოუწოდა.

ყარყარაშვილი აცხადებდა, რომ აქციამ შედეგი უკვე გამოიღო, ყურადღება მიიპყრეს და უნდა დაშლილიყვნენ. აქვე ყარყარაშვილმა განაცხადა, რომ აქციის ფორმას იგი არ ეთანხმება, მისთვის მიუღებელია და ულამაზოა გმირთა მოედანზე კარვები. მისი მოწოდება ვეტერანებმა არ გაიზიარეს.

ყარყარაშვილის მისვლამდე გმირთა მოედანზე მივიდნენ ირაკლი ბათიაშვილი და ზურაბ აბაშიძე.

აქციის მონაწილეები კი „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აღნიშნავდნენ, რომ დაახლოებით, 15:00 საათზე გმირთა მოედანზე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩაიარა. ვეტერანების ვერსიით, სააკაშვილს არ მოეწონა აქციის ფორმა და მან გასცა აქციის დაშლის ბრძანება. პოლიციელები გმირთა მოედანზე ერთ საათში მივიდნენ და აქციის შეწყვეტა მოითხოვეს. თავდაპირველად, ვეტერანები მათ დაემორჩილნენ და ლეიბები და სხვა ნივთები აიღეს. თუმცა, პარალელურად ამის შესახებ ოპოზიციას შეატყობინეს. ბათიაშვილისა და აბაშიძის მისვლის შემდეგ კი, ვეტერანები აქციის გაგრძელებას შეეცადნენ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 27 დეკემბერს დაიწყეს. ისინი ხელისუფლებას ომის ვეტერანთა მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ და მოითხოვდნენ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს, სათანადოდ დაფასდნენ. ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

ბელა ზაქაიძე.
„ინტერპრესნიუსი“










ინფორმაცია

## ქართველი ხალხი სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს იმსახურებსო

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ადა მარშანიას თქმით, ქართველი ხალხი სააკაშვილის ფაშისტურ ხელისუფლებას იმსახურებს.

ამის შესახებ მარშანიამ ვეტერანების მხარდასაჭერ აქციაზე განაცხადა.

— მოხდა ვანდალური ფაქტი, როდესაც ომის ვეტერანები ცინიკურად დაარბიეს. მაგრამ მე მაინტერესებს, სად არის ხალხი, სად არის თბილისის მოსახლეობა. როგორც ჩანს, მათ ყანწები დარჩათ დასალევი. ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, ეს ხალხი ხელისუფლებაზე უარესია, თავისი გულგრილობით, რაც მოშიმშილე ვეტერანების მიმართ გამოიჩინეს, — აღნიშნა მარშანიამ.

მან პრეზიდენტს მიმართა და გააფრთხილა, რომ აფხაზეთიდან დევნილებს უფრთხილდეს. „სწორედ ეს ხალხი მოაშორებს მას ხელისუფლებიდან“, — განაცხადა მარშანიამ.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა



# მთავრობის სხდომები ჩაქაფულის ჩამოტარებით...

## სკანდალის სამართლებრივი გარჩევა არც ერთ მხარეს ხელს აღარ აძლევს

*2010 წლის ბოლოს ოპოზიციაში ყველაზე სკანდალური ისტორიის შედეგებსა და გაგრძელების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.*



**— ბატონო სოსო, ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ ბადრი ბიწაძის მიერ პრესაში გამოთქმულმა ბრალდებებმა გასული წლის ბოლოს სკანდალი გამოიწვია. აშკარაა, რომ გაჩეჩილაძის პრეზიდენტთან შეხვედრა-არშეხვედრის თემა 2011 წელსაც აქტუალური იქნება. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და როგორი გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს ამ ისტორიას?**

— თავისთავად, სკანდალი ქართულ რეალობაში უკვე საკმაოდ ყურს შეჩვეული ფაქტია. 2010 წელი არაერთი სკანდალით დაგვამახსოვრდა. საერთოდ, აჯობებდა 2010 წლის სკანდალებზე გვესაუბრა. 2010 წლის განმავლობაში არაერთმა სკანდალმა დაგვარწმუნა, რომ სკანდალების მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან მალე ქრება, სიმართლეში გარკვევის თანამიმდევრული სურვილი არ არსებობს.

საქართველოში სამართლებრივი კულტურა არც საბჭოთა პერიოდში იყო მაღალი, მაგრამ ბოლო წლებში უკვე ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართულად ითრგუნება. ამიტომ ჩვენ არ გვიკვირს, რომ არავინ დასჯილა იმ სკანდალის გამო, რომელმაც პრაქტიკულად დაგვაკარგვინა უკრაინა, როგორც სტრატეგიული პარტნიორი. ვგულისხმობ 2000-მდე კუნთმაგარი ე.წ. დამკვირვებლის უკრაინაში არჩევნების წინა დღეებში გადასხმას. შემდეგ იყო სკანდალი „მოდელირებულ ქრონიკასთან“ დაკავშირებით. თავისთავად ფაქტი ამაზრზენია, მაგრამ ხელისუფლების დუმილი ამ „ქრონიკის“ ირგვლივ კიდევ უფრო შემაძრწუნებელი იყო, რადგან უსუსური მცდელობა, გაჟღერებულიყო სატელეფონო საუბრები თითქოსდა ოფიციალურ პირთა მონაწილეობით, ასევე უშედეგოდ დასრულდა. ამ შემთხვევაშიც არავინ დასჯილა, არც საყვედური მიუღია ვინმეს და საზოგადოებამაც პრაქტიკულად ხელი ჩაიქნია.

საზოგადოება არც იმით დაინტერესებულა, სად იკარგებოდა საზღვარგარეთ ინაუგურაციაზე წასული ქვეყნის პრეზიდენტი და არც იმით, რა ხდებოდა სახელისუფლო დერეფნებში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის პრობლემა დღეს ლუკმაპურის მოძიებაა და არა ის, თავად გაერკვეს რა ხდება ქვეყანაში. ასეთი სკანდალები მთელ წელიწადს გრძელდებოდა. იყო სკანდალური დანიშვნები ამა თუ იმ მინისტრისა. სასაცილო მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი, როცა მთავრობის სხდომა ჩაქაფულის ჩამოტარების რეჟიმში ტარდება. იმდენი ვიარეთ, რომ ბოლოს გამოქვაბულში აღმოვჩნდით. ამის გამო არც ერთ მთავრობის წევრს არ უჩნდება რაიმე ტიპის პროტესტის გრძნობა. სადაც იტყვიან, მზად არიან, იქ მიიღონ მონაწილეობა მთავრობის სხდომაში. 2011 წელს რომ გაჩნდეს იდეა ნუდისტების პლაჟზე მთავრობის სხდომის ჩატარების შესახებ, საინტერესოა, მთავრობის წევრთაგან ვინმე უარს იტყვის თუ არა ამ სხდომაში მონაწილეობაზე.

წლის ბოლოს, თითქოს მშვიდი სიტუაცია შეაზანზარა ბატონ ბადრი ბიწაძის ინტერვიუმ. არ ვიცი, ეს იყო შეგნებული ნაბიჯი, გათვლილი იმ შედეგისთვის, რომელიც დადგა თავად ამ ინტერვიუს ავტორისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ვინც კი ამ ინტერვიუში დასახელდა, საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური გარემო შეიქმნა. არა რომელიმე რიგითი მოქალაქე, არამედ პრეზიდენტთან დაახლოებული გენერალი ბრძანებს, რომ მომსწრეა, როგორ ხდებოდა პრეზიდენტობის ერთი კანდიდატის მიერ მეორე კანდიდატის მოსყიდვის მცდელობა. ის რომ, საქმის კურსში იყო და ამ საკითხზე არ რეაგირებდა პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, რასაკვირველია, ვერანაირი სიმშვიდის განცდას ვერ დაამკვიდრებს ქვეყანაში და უკვე მეორეხარისხოვანია, ვინ აიღო ფული და აიღო თუ არა საერთოდ.

ფაქტია, რომ დანაშაული სახეზეა, მოწმეები ღიად აცხადებენ საკუთარ მზაობას, დაადასტურონ მომხდარი ფაქტი, ოღონდ აქ ვაჟკაცობის ელემენტი აღარ ჩანს. ვაჟკაცობა ის იქნებოდა, ეს საუბარი საჯარო გამხდარიყო 2008 წლის დასაწყისში, ანუ ფაქტის მოხდენის მეორე დღეს.

როგორც ყოველთვის, ხელისუფლებას სჩვევია მისთვის უსიამოვნო ფაქტებზე წაყრუება. ბიწაძე-გაჩეჩილაძის სკანდალთან დაკავშირებით ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. არც შინაგან საქმეთა მინისტრი აპირებს გაარკვიოს, ცილისმწამებელია თუ არა მისი ყოფილი მოადგილე, რომელსაც მან გაჩეჩილაძისათვის გადასაცემი 2 მილიონის გათეთრება შესთავაზა. პრეზიდენტის პრესსპიკერმა კი ბრძანა, რომ ეს საკითხი არ არის პრეზიდენტის ინტერესთა სფეროში. ჩვენ შევეჩვიეთ, რაც ხალხის ინტერესშია, პრეზიდენტის ინტერესი არ გახლავთ.

**— იზიარებთ თუ არა აზრს, რომ აგორებული სკანდალი და დაპირისპირება „ქართულ პარტიასა“ და ბურჯანაძის პარტიას შორის პოლიტიკურ არენაზე რადიკალური ნიშისთვის ბრძოლას უკავშირდება და ჩვენ წინ კიდევ ბევრი სიურპრიზი გველოდება?**

— მე მგონი, ეს არ გახლდათ შორსმჭვრეტელური ნაბიჯი თქვენს მიერ დასახელებული არც ერთი მხარის მხრიდან. ჩემი აზრით, ეს გახლავთ პოლიტიკური სულსწრაფობა და იმის გამოხატულება, თითქოს პარტიების ლიდერებს საპრეზიდენტო არჩევნები მომავალ კვირაში ეგულებათ და მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნიათ ერთადერთ კანდიდატად ამ არჩევნებზე. შეიძლებოდა ნებისმიერი დაპირისპირების მშვიდ რელსებზე გადაყვანა, სკანდალის და ურთიერთშეურაცხყოფის გარეშე პოლიტიკური დისკუსიების ბუნებრივად გაგრძელება. რაც მოხდა, სამწუხაროდ, დაბალი პოლიტიკური კულტურის კიდევ ერთი დადასტურებაა. ურთიერთშელაპარაკებებით ქართული საზოგადოება დავარწმუნეთ, რომ პოლიტიკა პირადი ინტერესების დაკმაყოფილების სფეროა და მხოლოდ შემდეგ - საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვა.

**— ხელისუფლება სკანდალს არ იმჩნევს. ფაქტია, რომ გაჩეჩილაძე და ბურჯანაძე სკანდალმა საგრძნობლად დააზარალა, მაგრამ ამ ისტორიის გამო თავს კარგად არც ხელისუფლება უნდა გრძნობდეს. ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ, ნორმალური ქვეყანა რომ ვიყოთ, 3-4 საქმე პროკურატურას უკვე უნდა აღეძრაო. თქვენი აზრით, ამ სკანდალს რა გაგრძელება ექნება? როგორადაც არ უნდა განვითარდეს პროცესები, როგორც ბრალდების ადრესატებს, ისე ბრალმდებლებს და ხელისუფლებასაც მოუწევთ ამ საკითხში მეტი სიცხადის შეტანა...**

— ამ სკანდალურ ინფორმაციაში მოხსენიებული პირებიდან სკანდალის სამართლებრივი გარჩევა არც ერთს აღარ აწყობს, ვინაიდან გავრცელებულ ინფორმაციაში თითოეული მათგანის მიმართ საკმარისი სამხილია. ერთმა რომ მეორეს უჩივლოს, ნაკლებად სავარაუდოა, ვინაიდან ვერც ერთი ბრალდებულის სკამს ვერ აცდება. სკანდალში ჩართული მხარეები ყველაფრის მიჩქმალვას შეეცდებიან, ტალახი საკმარისი რაოდენობით ესროლეს ერთმანეთს, ამ ტალახის ჩამორეცხვას დრო უნდა, ამიტომ მათ ინტერესში არ შედის არც სიმართლის დადასტურება და არც ამ სკანდალის რამე ტიპის სამართლებრივი გაგრძელება.

ჩემი აზრით, მთელ ამ ისტორიაში მთავარი სწორედ ხელისუფლების ფიგურანტები არიან. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადებულ კანდიდატსა და შინაგან საქმეთა მინისტრს სახელმწიფოებრივი ვალდებულებები ჰქონდათ, იგივე ითქმის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელზე. იგი ვალდებული იყო, წლების განმავლობაში პარტიზანივით არ დადუმებულიყო. რაც შეეხება კერძო პირს, ლევან გაჩეჩილაძეს, მას საკმარისი დრო აქვს, რათა საზოგადოება დაარწმუნოს საკუთარ გულწრფელობასა და სიმართლეში.

**— ბადრი ბიწაძე გამოცდილი ადამიანია და შეუძლებელია, არ სცოდნოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა გაჩეჩილაძის შესახებ მის მიერ პრესაში გაკეთებულ განცხადებებს...**

— ჩემი აზრით, საქმე გვაქვს „ჰიპერთავდაცვასთან“, ანუ პოლიტიკური კონკურენტი რაც ადრე იქნება მოშორებული, მით უფრო მშვიდი იქნება გზა პრეზიდენტის სავარძლისკენ. ასეთი წარმოდგენებია ორივე პოლიტიკურ ძალაში და, როგორც ჩანს, მათ ერთმანეთი ეგულებათ ძირითად კონკურენტებად. შესაძლოა, ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომ საპრეზიდენტო არჩევნები 2011 წლის იანვარში ჩატარდება. მათ ერთმანეთის დისკრედიტაცია ისეთი სისწრაფით მოახდინეს, რომ ეს 2012 და 2013 წლისთვის მზადებას აშკარად არ ჰგავს. როცა ამაზე ვსაუბრობ, ყურადღებას პოლიტიკურ სულსწრაფობაზე ვამახვილებ.

**— ოპოზიციაში პროცესები ისე განვითარდა, ბევრი ექსპერტი იმასაც პროგნოზირებს, რომ ოპოზიციის არაერთ ცნობად სახეს მოუწევს პოლიტიკური სცენის დატოვება აპლოდისმენტების გარეშე. თქვენც ეთანხმებით ასეთ პროგნოზს?**

— პასიურობა, რომლითაც ოპოზიციისთვის 2010 წელი ხასიათდებოდა, გახლდათ წინაპირობა ახალი შეფასებების და ზოგიერთი მოვლენის გადაფასებისა. როდესაც ბიზნესმენს 2-3 წელი არ გამოსდის ხელობა, მით უფრო ნიჭიერად გამოჩნდება, რაც უფრო დროულად გააგრძელებს სხვა ტიპის საქმიანობას. თუ ბიზნესში ხარ, მუდმივად წარუმატებელი ვერ იქნები. რატომღაც, ჩვენთან წესად დამკვიდრდა, რომ შესაძლოა, ათწლეულების განმავლობაში პოლიტიკაში ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწიო, მაგრამ პოლიტიკაში ყოფნის საარსებო საშუალებებს მოიპოვებენ, სხვაგვარად, ასობით პარტიის ჩამოყალიბებისადმი ლტოლვა ყოვლად გაუგებარია. თანაც პროცესი გრძელდება, წლები გადის, მაგრამ გაერთიანების მაგივრად ჩვენ ოპოზიციის დანაწევრების მოწმე ვართ და ახალ-ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბების მსურველთა რაოდენობა არ მცირდება. ამას საფუძვლად უდევს ქართული უბედურება, რომლის არსი ასეთია – პოლიტიკა პირადი კეთილდღეობის მიღწევის საშუალებაა.

ბევრი ოპოზიციონერის პოლიტიკიდან წასვლა ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ რამდენად საფუძვლიანია ლოგიკა ზოგადად ქართულ პოლიტიკურ პროცესებში, ამის თქმა გამოჭირდება.

ინფორმაცია

### ტიმოშენკო პროკურატურაში, როგორც საკუთარ სახლში ისე დადის

უკრაინის ექსპრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო 5 იანვარს გენერალურ პროკურატურაში მორიგ დაკითხვაზე დაიბარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ წინა დაკითხვისას ტიმოშენკომ პროკურატურაში 11 საათზე მეტი გაატარა და მისი პრესსამსახურის უფროსის განცხადებით, მას ჭამის უფლებაც არ მისცეს.

თავად ტიმოშენკო აცხადებს, რომ ის პროკურატურაში „დადის როგორც სამსახურში“. ტიმოშენკოს წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის ორი საქმე.

ერთი მათგანი უკავშირდება თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, მეორე კი სასწრაფო დახმარების სამსახურისთვის ათასი ავტომანქანის მაღალი ფასებით შეძენას.

ექსპრემიერი არ აღიარებს წაყენებულ ბრალდებებს და აცხადებს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება მას პოლიტიკურად უპირისპირდება.

უკრაინის ხელისუფლება უარყოფს სისხლის სამართლის საქმის პოლიტიკურ მოტივებს.

### ლუკაშენკოს ევროკავშირის ქვეყნებში შესვლას უკრძალავენ

ევროკავშირმა, შესაძლოა, ბელორუსის პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს და სხვა სახელმწიფო ჩინოვნიკებს ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებში შესვლა აეკრძალოს.

ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდზე დაყრდნობით ავრცელებს.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება ბელორუსის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტობის ოპოზიციონერ კანდიდატების და მათი მომხრეების დაკავებას უკავშირდება. მისივე თქმით, აუცილებელია ევროკავშირმა თავისი პოლიტიკა ლოგიკურად გააგრძელოს.

— როდესაც ბელორუსიაში აღარ იქნებიან პოლიტიკური პატიმრები, მაშინ ჩვენ პოზიტიური დამოკიდებულება გვექნება. ახლა კი, როდესაც დაკავებულების რაოდენობა კიდევ უფრო მეტია და ისინი ვინც მათ დაკავებასთან კავშირში არიან, შეიძლება სიაში, რომელთაც ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა აეკრძალებათ, — აღნიშნა მან.

ხო-ეივ-ები

◉ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# უცხოელები, მაგრამ ქართველები, ჩვენი „გორისანი“...

**შარშანდელი (უკვე!) წლის 28 დეკემბერი ლამაზად დამაგვირგვინებელი გამოვიდა 2010-ის საკადემიო მრავალფეროვანი და ერთობ ნაყოფიერი ცხოვრებისთვის: ამ დღეს შედგა საერთო კრება, რომელზეც აკადემიის წევრებმა ღია კენჭისყრით აირჩიეს ჩვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 7 ახალი უცხოელი წევრი.**

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ შესავალ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, თუ ყოველთვის რა დიდ პატივად მიიჩნევდნენ ჩვენი აკადემიის უცხოელ წევრებად არჩევას მსოფლიო სახელის საზღვარგარეთელი სპეციალისტები და დასძინა, რომ იმათი წევრობაც, რა თქმა უნდა, პატივია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისთვის.

აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ოთარ ნათიშვილმა წარმოადგინა საერთო კრებაზე კენჭსაყრელ იმ გამოჩენილ უცხოელ მკვლევართა ნუსხა, რომელთა კანდიდატურები უკვე განხილული და ერთსულოვნად მხარდაჭერილი იყო შესაბამის განყოფილებათა სხდომებზე. ყოველ წარმოდგენილ გვარს დაერთო სათანადო განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოკლე დახასიათება.

მკითხველს ვთავაზობთ საერთო კრების მიერ ასევე ერთხმად არჩეულ ახალ უცხოელ წევრთა სიას (ალფაბეტით დალაგებულსძ ერთგვარი „სადარბაზო ბარათის“ თანხლებით.

**1. გასტონ ბუაჩიძე (საფრანგეთი)** – ცნობილი ქართველი მწერალი და მთარგმნელი, ბრეტანისა და ლუარისპირეთის ლიტერატურული აკადემიების წევრი; არჩეულია „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ სპეციალობით, წამოყენებულია ჩვენი აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებიდან.

**2. ულე ლინდვალი (შვედეთი)** – ლუნდის უნივერსიტეტის ნევროლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი; სპეციალობა „ნევროლოგია“ (ფიზიოლოგიის განყოფილებაძ.




**3. ჰერბერტ მანგი (ავსტრია)** – ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკის, მასალათა გამძლეობისა და სტრუქტურის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სპეციალობა „თეორიული და გამოყენებითი მექანიკა“ (გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაძ.

**4. ლევან მინდელი (რუსეთი)** – რმა-ის მეცნიერების განვითარების პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სპეციალობა „მეცნიერების განვითარების მართვა და პროგნოზირება“ (გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილებაძ.

**5. ედვარდ რთველაძე (უზბეკეთი)** – რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; სპეციალობა „ისტორია, არქეოლოგია“ (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაძ.

**6. რაინერ რინმიულერი (ავსტრია)** – გრაცის საუნივერსიტეტო კლინიკის ზოგადი რადიოლოგიური დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი; სპეციალობა „სამედიცინო რადიოლოგია“ (მედიცინის განყოფილებაძ.

**7. თამაზ სამხარაძე (რუსეთი)** – მოსკოვის სახელმწიფო საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური გამომცემლობის „როსნაუჩტეხლიტიზდატის“ გენერალური დირექტორი, რუსეთის საინჟინრო აკადემიის წევრი; სპეციალობა „ეკოლოგიური სისტემები და ხელსაწყოები“ (სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილებაძ.

გავეცნოთ მცირეოდენ „სტატისტიკას“. 28 დეკემბერს 7 უცხოელი წევრის შემომატების შედეგად ჩვენს აკადემიაში ამჟამად შედის 76; იმათ რიცხვში ორი უცხოელი საპატიო წევრია – მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმინდესი **ბართოლომეოს I** და იუნესკოს გენერალური დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ფედერიკო მაიორი;** აქამდე აკადემიაში გვყავდა 4 ქართულგვარიანი უცხოელი წევრი – **ვიქტორ გელოვანი** (სისტემური ანალიზი და მათემატიკური მოდელირება, რუსეთიდანძ, **მიხეილ როკეტლიშვილი** (ეკონომიკა, აშშ-დანძ, **რევაზ სეფიაშვილი** (იმუნოლოგია, რუსეთიდანძ და **ასლან ცივაძე** (ქიმია და არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, რუსეთიდანძ; 28 დეკემბრის შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ჰყავს ქართული გვარის მატარებელი „სადაური სად წაყვანილი“ 8 უცხოელი წევრი...

**აღვუთქვამთ მკითხველს, რომ „სრ“-ის ფურცლებზე შევეცდებით შეძლებისდაგვარად იმათ სრულად წარმოდგენას, ბოლოსარჩეულთა მაინც...**

**თამაზ ეგანოიძე**

◉ წიგნი

# განუყოფლობა, რომლითაც უნდა ვიამაყოთ

**გრძელდება მკითხველისთვის უკვე ნაცნობი („სრ“, 28 დეკემბერი, 2010 წ.), საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ეგიდით გამომავალი სერია „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“.**

ამჯერად ვისაუბრებთ სერიის მომცრო, 32-გვერდიან წიგნზე, რომელიც ჩვენმა ფიქრდაუზარელმა, კალამმოუსვენარმა ისტორიკოსმა, პროფესორმა ნანა ხაზარაძემ ასე დამაგულისყურებლად შემოგვთავაზა: „სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი (კულტურული ტიპოლოგიური პარალელებიძ“.

ნაშრომი ჩინებულად ემსახურება სერიის დაფუძნების მიზანს – ფართო საზოგადოებისათვის ქართული ეროვნული მეცნიერების მიღწევათა ჩვენებას. ავტორი, ძველი მსოფლიოს ხალხთა ისტორიისა და კულტურის ისტორიის ფართოდ აღიარებული მკვლევარი, კვლავ ჯეროვანი ყურადღებით ეკიდება სამხრეთკავკასიური და წინააზიური ცივილიზაციების ურთიერთმიმართებათა ძირითადი პარამეტრების რეკონსტრუქციის საკითხებს. ნაირფეროვან და ნაირენოვან ძველ წერილობით ძეგლებთან, ენობრივ თუ არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად მარჯვედ იყენებს ეთნოგრაფიულ არტეფაქტებსაც. ეს შეაძლებინებს ნანა ხაზარაძეს, რომ სრულად წარმოაჩინოს ქართველთა ეთნოგენეზის, ძველი ისტორიის, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპი იმათი ძირითადი მახასიათებლების დართვით.

ნარკვევში ავტორი ითვალისწინებს თავის დროზე აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მიერ დიდი რუდუნებით მოძიებულ და დღეს უკვე რარიტეტად ქცეულ ეთნოგრაფიულ მასალას, ქართული ეროვნული კულტურის საგანძურში მარადიულ ადგილად დამკვიდრებულს (უძღვნის კიდევაც იმის ნათელ ხსოვნას ნაშრომსძ.

საყურადღებო შედეგები მოიპოვა მკვლევარმა ძველანატოლიური და ქართული სამშენებლო რიტუალების შედარებითი ანალიზის მოხმობითა თუ დახმარებით. ხეთური წერილობითი წყაროების, ძველი ქართული მწერლობის, საქართველოს სხვადასხვა მხარეში ქართველ ეთნოგრაფთა მოპოვებულ მასალებსა და სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება დასკვნა, რომ ქართველთა ყოფაში შენობის საძირკვლის (ფუძისძ ჩაყ-



რის ოდესღაც ფრიად გავრცელებული და ტრანსფორმირებული სახით აქამდე ცოცხალი რიტუალი ტიპოლოგიურ პარალელებს აწყდება ძველ ანატოლიურ სამყაროში. ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს შემდეგი თვალსაზრისის მართებულობას: ქართველური ტომების უძველესი ისტორია და კულტურა განუყოფელი ნაწილია ძველაღმოსავლური ეთნოკულტურული სამყაროსი.

უთუოდ უნდა ითქვას, რომ წიგნს ახლავს ნაგებობათა აღმნიშვნელი ლუვიური იეროგლიფების დანართი.

...ჩვენი ფიქრცხებული, კალამუჟანგავი ისტორიკოსი ქალბატონისაგან ახალ-ახალ ნაფიქრალ-ნაკალმევს მოელის მკითხველი საზოგადოება...

**ლუკა გორგაძე**

◉ საქველმოქმედო აქცია

# შობა-ახალი წელი მიულოცეს...

**შობა-ახალი წლის დღეებში საერთაშორისო ასოციაციის „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ წარმომადგენლები საჩუქრებით დატვირთულები ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილებას ეწვივნენ, სადაც ამჟამად 18 მოზარდი მკურნალობს.**

ბავშვები სტუმრების გამოჩენას სიხარულით შეხვდნენ. თვალები გაუბრწყინდათ, როცა მათთვის განკუთვნილი საჩუქრები გადასცეს.

ასოციაციის ქალებს არც მომსახურე პერსონალი დაუტოვებიათ უყურადღებოდ. ხილი, ტკბილეული და სათამაშო კურდღელი სიმბოლურად (2011 წელი კურდღლის წელიაძ მათთვისაც მოამზადეს. საჩუქრებით ყველა – ბავშვებიც და პერსონალიც გახარებული დარჩა.

ასოციაციის ქალები 1995 წლიდან ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამის შექმნის დღიდან ეხმარებიან.

**მაია კვეზერელი-კოპაძე, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ თავმჯდომარე:** „დიდი სურვილი გვქონდა, რომ ამ ბავშვებისთვის შობა-ახალი წელი მიგვილოცა. ამ შენობაში არ იყო დენის გაყვანილობა, გაზი, მოსაწესრიგებელი იყო სველი წერტილებიც. ჩვენი დახმარებით ყველაფერი ეს მოწესრიგდა.

რენტგენის აპარატურა მოძველებული და შესაკეთებელია, მაგრამ ცენტრს ამის საშუალება არა აქვს. ამიტომ მათთან სტუმრად მივიყვანეთ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები, რომლებიც დაეხმარებიან რენტგენის აღდგენაში.

სამწუხაროდ, ეს საავადმყოფოც არის და სარეაბილიტაციო ცენტრიც, რადგან სანატორიუმი უკვე აღარ არსებობს, სადაც პაციენტებმა მკურნალობის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსი უნდა ჩაიტარონ. აქ ბავშვები 3-4 თვის განმავლობაში ცხოვრობენ და ყველანაირი პირობა უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ თავი კარგად იგრძნონ“, – დასძინა კვეზერელი-კოპაძემ.

ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილების გამგემ თენგიზ გვასალიამ ასოციაციის წარმომადგენლებთან ჭლექის გავრცელების საშიშროებაზე ისაუბრა. ინფექციის გავრცელების რისკი საქართველოში ძალიან მაღალია. ჩვენთან ყოველწლიურად 150-200 ბავშვი გადის სამკურნალო კურსს. ინფექციას ძირითადად მოზარდები, მოზრდილები და მოხუცები ავრცელებენ. დაინფიცირებული ადამიანი ხშირად მალავს თავის მდგომარეობას და უკვე გართულებულ ეტაპზე მოგვმართავს სამკურნალოდ, რაც დაავადების აღმოფხვრას ართულებს. ეს დაავადება ვრცელდება აირწვეთოვანი გზით. არსებობს ტუბერკულოზის გავრცელების სხვა გზებიც, მათ შორის შეიძლება იყოს გენურიც.

ტუბერკულოზი ბავშვებში განკურნებადია იმ შემთხვევაში, თუ დროულად არის გამოვლენილი, – აღნიშნა გვასალიამ.

ასოციაციის წევრები დიდხანს აღარ გაჩერებულან, ბავშვებსა და მომსახურე პერსონალს დაემშვიდობნენ და ასოციაციასთან არსებულ უმწეო ხანდაზმულთა სასადილოსკენ გაემართნენ, სადა 50 დამსახურებული ადამიანი – ინჟინრები, ფილოლოგები, ჟურნალისტები და მსახიობები ელოდნენ.

ეს სასადილო 2004 წლიდან „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისთვის“ ორგანიზატორობით ფუნქციონირებს... ხანდაზმულებს ემსახურებათ მზარეული, მზარეულის თანაშემწე, კოორდინატორი და სოციალური მუშაკი.

**რუსიკო ხაბურძანია, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისთვის“ წევრი:** „სხვა დიდი დღესასწაულების მსგავსად, ხანდაზმულებისთვის განსაკუთრებული საზეიმო სადილი მოვამზადეთ, ხილით, ტკბილეულითა და ნამცხვრებით. მათთვის საახალწლო განწყობის ასამაღლებლად მგალობელ გოგონათა და სამუსიკო სკოლის ბავშვთა გუნდებმა ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს. ხანდაზმულმა არჩილ ჩიხლაძემ თავადაც შეასრულა ერთ-ერთი სიმღერა გიტარაზე. ჩვენი ასოციაცია მოხუცებს შეჰპირდა, რომ 2011 წელს სასადილო კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას“, – დასძინა ხაბურძანიამ.

მოხუცებსა და ასოციაციის წევრებს იმედი აქვთ, რომ გამოჩნდებიან ქველმოქმედი ადამიანები, რომლებიც ბენეფიციართა სასადილოს დაეხმარებიან.

**თინათინ ბორცვაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ვნახოთ, ვინ ვინ არის!

# საქართველო უპირველეს ყოვლისა!

ძვირფასო მკითხველო, უსაზღვრო იმედებითა და დიდი გულისტკივილით მოგმართავ, რომ იდეოლოგიური და სტრატეგიული კონცეფციების უქონლობა გახდა ძირითადი მიზეზი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მტრული ქმედებების მთავარი მამოძრავებელი ძალა. დამკვიდრებული არამეცნიერული ტრადიციული თვალსაზრისის მიხედვით, აფხაზების ადიღე-ჩერქეზთან და მითიურ აბაზგებთან, ასევე სომხების არმენებთან გაიგივებული ძალადობა, რაც გამოწვეული იყო სკკპ ცკ-ისა და მის დამქაშ ისტორიკოსთა მიერ დავალების პირნათლად შესრულებით, მივიღეთ თანამედროვე პირობებში მოუწესრიგებელი კონფლიქტი და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის სრული კრახი. ამან მიგვიყვანა ძირძველი ქართული ტერიტორიების დაკარგვამდე. მიმაჩნია, რომ ბრძოლა ყველა ვარიანტში არის აუცილებელი. სამწუხაროდ, ოპონენტები არ (თუ ვერძ გამომიჩნდნენ და 2007-2009 წლებში სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი ჩემი წინადადებები დაკარგული ტერიტორიების საკითხის მოგვარების საქმეში, უპასუხოდ დამრჩა. 2010 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და მისმა სატელევიზიო მაუწყებლობამ წმინდა მოწამე მეფეების არჩილისა და ლუარსაბ II ხსენების დღე ფართოდ აღნიშნეს. იგივეს ვერ ვიტყვი სამეცნიერო წრეებზე. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა პეტრემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას, არჩილ მეფის მოღვაწეობის პერიოდიდან უფრო მეტი თქვა, ვიდრე ჩვენს სასიქადულო მეცნიერებს, ყველას ერთად აღებულს, აქვს სადმე დაწერილ-გაცხადებული. სამეცნიერო წრეების ასეთი ინტელექტუალობა საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა. აფხაზების პირველი „მემატიანის“ აშხაცავასთვის თავის დროზე დიდ მეცნიერებს რომ გაეცათ პასუხი, ხოლო 1972 წლის „ლიტერატურნაია გაზეტას“ მე-16 ნომერში რაც ნაფი ჯუსოითმა დაგვიწერა და ესეც უპასუხოდ დატოვეს, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებს ამიტომაც გვედავებიან. ამპარტავნობამ და უვიცობამ დალუპა ქვეყანა. ე. წ. „პროფესიონალები“ საქართველოში იმდენად დეფიციტია, ვერ გაუგიათ ქუთაისი როდის, რატომ და რა მიზნით გახდა ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქი, ვიდრე 45 წლის შემდეგ გამოჩნდებოდა ავანტიურისტი ლეონ II-ედ წოდებული უჯიშო თვითმარქვია მეფე და იგი როგორ აღმოჩნდა ვითომ ხელდასხმული „მეფე აფხაზთა“. სირცხვილია, როდესაც საუბრობენ აფხაზეთის თემაზე და ვერ წარმოუდგენიათ „ცნობადი სახეები“ რა ზომის ლაფსუსებს ყვებიან ან წერენ, რასაც ბრწყინვალედ იყენებენ სეპარატისტი იდეოლოგები. მათთან შედარებით, ბევრ ასეთ სახეს უვიცს ვუწოდებდი თავისი ნაშრომებიდან და დებატებიდან გამომდინარე. ვითხოვ, არა მრატო დავდგეთ ერთმანეთის გვერდით, არამედ 2011 წლის 2 აპრილს წმიდა მოწამე არჩილ მეფის მოწამეობრივი აღსრულების დღეს, 1250 წლისთავთან და აფხაზეთის საუფლოს დაარსების 1265 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარდეს თემატური კონფერენცია, რომელშიც აუცილებლად უნდა გაშუქდეს წამებული მეფის სახელმწიფოებრივი ღვაწლი გაწეული აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი წარმონაქმნის შექმნა-ჩამოყალიბებაში. კონფერენციის მიმდინარეობა ფართოდ გაშუქდეს როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო და საზღვარგარეთული საინფორმაციო საშუალებებით. მაშინ ვნახოთ ვინ ვინ არის!

გთხოვთ თანადგომასა და მხარდაჭერას, პატრიოტულ მოვალეობას!

პატივისცემით და დიდი იმედებით

ვლადიმერ ზარიძე,
ფაზისის საერო და საქართველოს
ეროვნული აკადემიების წევრი
ტელ: 8(95)100-836, 34-16-19.

ისტორია



**ალექსანდრე ბატონიშვილი, მომავალში განთქმული „ისკანდერი“, საქართველოს თავისუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი, „დიდ ასპარეზზე“ სულ 12 წლის ასაკში გამოჩნდა, როცა მეფე ერეკლესთან გარკვეულ პერიოდში ძალიან დაახლოებულმა დოქტორმა რაინეგსმა თავის არარსებულ ლაშქარში ჩარიცხა და „ლეიტენანტობა“ დაავალა. თუ რა უნდა გაეკეთებინა ამ ლაშქარს, ეს მაშინ კონკრეტულად თვით „იაკობ დოხტურმაც“ არ იცოდა, ისე კი ყმაწვილი ძალიან გააქეზა და მომავალი დიდი საქმეების საკეთებლად (თუ, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა იქნებოდა) განაწყო.**

# ირაკლი, დიდი ირაკლის შვილიშვილი

თუკი მრავალმხრივ ნიჭიერ იაკობ რაინეგსთან გაცნობა ცუდი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, სამაგიეროდ ჭაბუკ ალექსანდრეს თავიდანვე ერთი ცუდი ამბავი შეემთხვა. მეფე ერეკლე, როგორც ცნობილია, თვითონვე პირადად ზრუნავდა თავისი ოჯახის წევრების მომავლისათვის, რათა მათ ღირსეული ოჯახები შეექმნათ და ქვეყანასაც ამ მხრივ გამოდგომოდნენ. იგი თავის ნათესავებად თვლიდა ჩერქეზ თავადებს მისოსტოვებს. ერეკლეს დიდედა რუსუდანი, ხომ სწორედ ამ მისოსტოვების ოჯახიდან იყო, მონათვლის შემდეგ რუსუდანი გახდა და ვახტანგ VI-ის ღირსეული მეუღლე იყო.

სწორედ ერეკლეს ინიციატივით იყო, რომ ტახტის მემკვიდრე გიორგის მომავალ საცოლედ შეურჩიეს ჩერქეზი ბატონის გირეის ქალიშვილი. ეს გირეი ერეკლეს პირადი მეგობარი იყო და მეფეს ხშირად თან ახლდა.

გიორგი ამ დროს სულ 8 წლისა ყოფილა, ჩერქეზი გოგონა კი სულაც ოთხისა. საჭირო იყო მისი სათანადოდ აღზრდა და, რა თქმა უნდა, მონათვლა. „განსასწავლებელად ქალისა, წარუვლინეს მას თავადი შარიდან შალიკაშვილი, 6 მოახლე ქალი მსახურად და აზნაურშვილის ქვლივიძისა ქვრივი ნინო სოფლისა კავთიხევიდამ, დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭკუითა. დიდი ცხენოსანი იყოო, ბრძანებდა სადმე თვით მეფე გიორგი და გულოვნებისათვის მისისა დიდად პატივსცემდნენ მას სასახლეშიაო“ (პლატონ იოსელიანიძ.

ეს საქმე სამწუხაროდ, ძალიან ცუდად დამთავრდა. „ქალი ესე ჩერქეზთა, დანიშნული გიორგიზედ, შემდგომად ოთხისა წლისა მზადებისა, ჯერეთ მოუნათლავი, მოკვდა ყვავილისა სენითა სამშობლოსა თვისსა სახლსა და უკუქცეული ნინო შედგა მონაზონად და მწუხარე თვითცა მოკვდა სამღვდელმთავროსა მროვლისა ეკლესიისა კარზედ სოფელს რუისს“.

გავიდა მრავალი წელი. ახლა ერეკლეს უკვე 20 წლის ალექსანდრეს დაოჯახება უნდოდა. 1790 წელს მეფემ მოციქულები გააგზავნა მისოსტოვებთან და სარძლოდ თხოვა მათი ქალიშვილი. ჩერქეზთ მთავარმა ეს წინადადება სიამოვნებით მიიღო. თუ ადრე გიორგი ბატონიშვილის საცოლეს ჩერქეზეთშივე ზრდიდნენ, ახლა „ყაბარდოს მზე ბრწყინვალე მანათობელი“ წარმოგზავნეს თბილისში, სადაც ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებს უნდა შეჩვეოდა, მიეღო სათანადო განათლება და გაქრისტიანებულიყო. მას ძიძა-გამდელი და რამდენიმე წარჩინებული მხლებელიც წამოჰყვა. ჩერქეზ ქალს ნინო დაარქვეს, მაგრამ ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც მოხდა უბედურება. ნინო უეცრად გარდაიცვალა. მიზეზი თუ ადრინდელ შემთხვევაში ყვავილი იყო, ახლა ჭლექი გამხდარა, რომელმაც ეს თვალტანადი, ულამაზესი ქალიშვილი შეიწირა. ერეკლეს ქალიშვილმა მარიამმა, რომელსაც შესანიშნავი პოეტური ნიჭი ჰქონდა, თავის საპატარძლოს ასეთი სათუთი სტრიქონები მიუძღვნა:

*„ყაბარდოს იყო ერთი მზე ბრწყინვალე*
*მანათობელად,*
*მისივე ხანთა ასული, ვინ არის ჩერქესთ*
*ფლობელად*
*რძლად მოუწოდა მეფემან,*
*პალატის შესამკობელად,*
*იესოს ქრისტეს სძლად ექმნა უმანკო*
*დაუჭკნობელად“*

ალექსანდრეს ამ უბედურების შემდეგ კარგა ხანს მოუხდა გლოვა, შემდეგ კი გამწარებულმა სიტყვა მისცა, რომ აღარასოდეს დაოჯახდებოდა!

მომდევნო წლებში ალექსანდრეს იმდენი საქმე ჰქონდა, რომ ოჯახის შექმნაზე ნამდვილად ვეღარ იფიქრებდა. ქართლ-კახეთის სამეფო, ყოველი მხრიდან მტრებით შემორტყმული, თვალდახელს შუა ირღვეოდა. ერთ-ერთი ბოლო აკორდი მაინც 1795 წლის სექტემბერში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა იყო. კრწანისის ბრძოლაში ალექსანდრეს მონაწილეობა არ მიუღია, მას მამამ დაავალა სამეფო ოჯახის დროზე გაყვანა ქალაქიდან და არაგვის ხეობაში გადაყვანა. როცა ეს ამოცანა შეასრულა, თბილისის დაცემის შემდეგ ახალი რამ დაევალა — 1000 მებრძოლით განჯას უნდა მიხტომოდა და ქართველი ტყვეები გაეთავისუფლებინა. ეს გააკეთა კიდეც და ჯევად-ხანმა უწინდებურად ერეკლეს მოხარკეობა იკისრა.

სულ ცოტა ხანში როგორ შეიცვალა ყველაფერი. რუსეთი ხომ საქართველოს მოკავშირედ და მფარველად ითვლებოდა, თუმცა მას სულაც არ დახმარებია. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრემ ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და იმპერიას შეუერთდა. ახლა რუსეთის ამოცანა იყო ორივე დედოფლისა და ყველა ბატონიშვილის რუსეთში გადაყვანა, რაც მათი აზრით, საქართველოში ყოველგვარ წინააღმდეგობას მოსპობდა. ეს მათ თითქმის მთლიანად მოახერხეს. მართლაც როგორ შეიცვალა ყველაფერი: ჯერ კიდევ გუშინ სპარსელები და ლეკები საქართველოს დაუნდობლად ებრძოდნენ, ახლა კი ისინი ნებსით თუ უნებლიედ მისი მოკავშირეები გახდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილს მხოლოდ მათთვის უნდა მიემართა. თურქეთი კარგა ხანს საქმეში არ ერეოდა, იგი სავსებით კმაყოფილი იყო, რომ ირანსა და რუსეთს საქართველოში ათასი თავსატეხი გამოუჩნდათ. ალექსანდრე და მისი ძმისწული თეიმურაზ ბატონიშვილი სპარსეთში აღმოჩნდნენ. რამდენი ხნით? ეს არავინ იცოდა. მიზანი ნათელი იყო: რუსეთი აეძულებინათ, დათანხმებოდა მმართველი ბაგრატიონების დინასტიის უფლებების აღდგენაზე. ცხადი იყო, რომ ამას რუსეთი თავისი ნებით არასოდეს გააკეთებდა. საჭირო იქნებოდა მისი იძულება, მაგრამ ვის შეეძლო ამის განხორციელება. ალექსანდრეს მიმართვები რუსეთის ხელისუფლებისადმი, ცხადია, ყოველთვის უპასუხოდ რჩებოდა. აი ალექსანდრეს წერილი მთავარმართებელ პ. ციციანოვისადმი. „ვის არ დაუპყრია საქართველო, მაგრამ სამეფო არავის გაუუქმებია, ტახტის ჩამორთმევა არ გვსმენია. ეს შეუფერებელია იმპერატორის ღირსებისა და სახელისათვის“. ვინ უსმენდა! „ოდესცა მართლმადიდებელნი იმპერატორნი კონსტანტინეპოლისანი ჰფლობდნენ აღმოსავლეთსა და დასავლეთსა, მას ჟამსა საქართველოთა მეფეთა აქვნდათ მათ მიერ ესე გუარი საფარველი... ილებდნენ მათგან ნიჭს ურიცხვსა და აქვნდათცა სახლისა მათისა კურაპალატობა... ...და შეწევნითა მათითა ჰფლობდნენ კასპიის ზღვათაგან ვიდრე შავს ზღვამდე“... „მერე კი, როცა განივრცო ხელმწიფება როსიისა იმპერიისა საქართველოს მეფეთ მოინებეს, რათა შევედრონ თავი თავისი ქრისტიანესავე იმპერატორსა“...

იხ. 9 გვ.

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● გინესის რეკორდების წიგნში შესულია კვერცხი, რომელიც 1979 წლის 2 ოქტომბერს ტოკიოში 198 მ სიმაღლიდან ჩამოაგდეს და არ გატყდა.

● ცნობილი რუსი ისტორიკოსის კარამზინის ნამდვილი გვარია კარამურზა. იგი ქრისტიანად მონათლული თათრის შთამომავალია.

● ივანე მრისხანის მეფობისას კბილების გასაწმენდად სპეციალურ „ცოცხს“ იყენებდნენ, პეტრე I-მა კი გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ბოიარებს ეკრძალებოდათ მეფესთან შეხვედრა, თუ კბილებს დაფქული ცარცით არ გამოიხეხავდნენ.



● ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, სიტყვა „მაკარონი“ XVI საუკუნეში წარმოიშვა. იტალიაში ტავერნის მფლობელმა მარკ არონიმ, რომელმაც ნახა, თუ როგორ თამაშობდა თავისი ქალიშვილი ცომით, ახალი პროდუქტი გამოიგონა და მას თავისი სახელი უწოდა — მაკარონი.

● 1618-1648 წლების ოცდაათწლიანმა ომმა მთელი ევროპა შეძრა, მოსახლეობა განახევრდა. მას შემდეგ ბევრ გერმანულ მიწაზე დაუშვეს კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა მრავალცოლიანობა დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად, თუმცა ეს უცხო იყო ევროპელებისთვის, მაგრამ — მიღებული ბევრ ქვეყანაში.

● XVI საუკუნეში ბრიურერმა შეკრიბა და აღწერა ცოცხლად დამარხულთა სასაფლაოები, რასაც დიდი პანიკა მოჰყვა. არანაკლები შეშფოთება გამოიწვია ევროპაში XVIII საუკუნეში ზოგიერთ ქვეყანაში მსგავსი შემთხვევების გამოვლენამ.

● მის სახელს დღეს არანაკლებ ცნობილი ფირმა ატარებს, 1946 წელს კი კრისტიან დიორმა ის გამომჭრელად აიყვანა თავის ახალგახსნილ ატელიეში — ეს გახლდათ კრისტიან დიორის პირველი გამომჭრელი პიერ კარდენი.

● 1980 წლის 25 ივლისს გარდაიცვალა ვლადიმირ ვისოცკი. მოსკოვის საზაფხულო ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის მიუხედავად, ტაგანკის თეატრის მოედანზე აურაცხელმა ადამიანმა მოიყარა თავი, რათა პატივი მიეგოთ მისთვის. თუმცა ეს ფაქტი საბჭოთა კავშირის არც ერთ საინფორმაციო წყაროს არ გაუშუქებია. მხოლოდ ერთ საღამოს გაზეთში დაიბეჭდა მცირე კომენტარი.



● რომში, ვია კონდოტის ქუჩაზე № 68-ში, პატარა, კერძო ბინაში, განთავსებულია მალტის ორდენის კაპიტული. ეს ყველაზე პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა ოფიციალურ წყაროებში ჯერჯერობით დაფიქსირებული არ არის.

● ბერძენმა მოსამართლეებმა, რადგან ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს მშვიდობა დაარღვია, ქალაქი სპარტა ოლიმპიურ თამაშებს ჩამოაშორეს.

● მოსკოვში კრემლის კედლის გაყოლებით 50 ეკლესია იდგა.

● 1774 წელს — გიორგი პოტიომკინი, 1779 წელს — ვასილი ლევაშოვი, 1780 წელს — ნიკოლაი ვისოცკი, 1781 წელს — მორდვინოვი, 1789-1796 წლებში — პლატონ ზუბოვი, ყველა ეს პიროვნება რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ს სახელთან არის დაკავშირებული, ისინი იმპერატრიცას საყვარლები იყვნენ.

● 1913 წლის 21 დეკემბერს გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდში“ პირველად გამოქვეყნდა კროსვორდი.

## ოცნებას კაცი არ მოუკლავს



# ქვევრის დაბრუნება

## ეს დიდ მოგებას მოუტანს ქვეყანასაც და თითოეულ მეღვინესაც

**ორი ათასი წლის შემოდგომაზე შავნაბადას მონასტერს ქვევრებით მარნის გაწყობაში ვეხმარებოდი. ერთ დღეს ორი იტალიელი მოიყვანეს და გაგვაცნეს, ერთი მევენახე-მეღვინე ფერმერი იყო, მეორე კი იმ ჟურნალის მთავარი რედაქტორი, რომელიც მეღვინეობაზე წერდა. გვითხრეს, ფერმერს 50 ცალი დიდი ზომის ქვევრის შეძენა გადაეწყვიტა და დახმარებას საჭიროებდა. ჩვენც შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ და მთელ საქართველოში რის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს 50 ქვევრი.**

ქვევრის დიდი მეღვინეობიდან გატანა ჩვენმა დაუდევრობამ და მისი მოვლისადმი დიდმა სიძნელემ განაპირობა. არცთუ იშვიათია, რომ ქვევრი ღვინოს აფუჭებს. ვიფიქრე, რახან ევროპელები დაინტერესდნენ ქვევრით, მათ მაღალი ხარისხის ქვევრი უნდა მიიღონ, თუ არადა, საკმარისია ათას ქვევრში ერთმა გაუფუჭოს ღვინო, ქვევრს საქვეყნოდ გაუტყდება სახელი-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე, შემესწავლა ქვევრი, წინ წამომეწია ყველა კარგი მხარე და შეძლებისდაგვარად გამომესწორებინა ცუდი თუ რამ ჰქონდა.

ძიების დროს აღმოჩნდა, რომ ქვევრზე ძალიან ცოტა მასალა მოგვეპოვება. ეტყობა, ამ განხრით გავლენა იქონია მისმა დიდი მეღვინეობიდან გატანამ, ამიტომ განელდა მეცნიერთა ინტერესი მისადმი. ცოტა რამ უკვლევია პროფესორ კ.მოდებაძეს, სხვებს კი ყველას ორი-სამი სტრიქონი აქვთ მიძღვნილი ქვევრისადმი თავიანთ წიგნებში, სადაც ყველა წერს ქვევრი კარგია, მაგრამ ფუნდამენტურ შესწავლას საჭიროებსო.

კვლევისა და ლოგიკური მსჯელობის შემდეგ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით ქვევრზე და მისი სიკეთის მხოლოდ 25-30 პროცენტს ვიყენებთ. საგაზეთო წერილში ძნელია ყველა იმ სიკეთის აღწერა, რაც ქვევრს ახასიათებს. ზოგიერთ მათგანზე კი მოგახსენებთ.

პირველ რიგში დავადგინე ქვევრისგან ღვინის გაფუჭების მიზეზი. ეს ქვევრის გამოწვის ბრალი ყოფილა და არა თიხის ნადგომი ან ჭაობიდან ამოღებული წყლით მოზელვისა. ქვევრი ქურაში ერთი საათით მაინც 900 ცელსიუსზე მაღალი ტემპერატურით თუ არ გამოიწვა, მას ყოველთვის ექნება ხარისხის პრობლემა.

ქვევრის თვისება – ცივად შეინახოს ღვინო, ცნობილია, მაგრამ ეს ტემპერატურა ოპტიმალურია ღვინის ხანგრძლივად შენახვისთვის? გაირკვა, რომ არა. ქვევრი ღვინოს 15-17 ცელსიუსზე ინახავს, თეთრი ღვინისთვის კი საჭიროა 10-12 ცელსიუსზე შენახვა, წითელი ღვინო კი 12-14 ცელსიუსზე ინახება. ამ პრობლემის გადაწყვეტა ქვევრის ფორმაზე დაკვირვებამ მიკარნახა.

ქვევრი 5-6 ათასი წლის წინათ დაამზადეს. დაამზადეს ის კაკლისა და მარცვლეულის შესანახად, ამიტომ მაშინდელმა გენიალურმა ოსტატებმა მას ფორმაც შესაბამისი მისცეს, გააკეთეს ის ბეჭებგანიერი, რათა მარცვლეულის დიდი ნაწილი მაღლა, თავთან ახლოს ყოფილიყო და ადვილად გაეცალათ. როცა ჩვენმა წინაპრებმა ქვევრში ღვინო ჩაასხეს, მაშინ ქვევრის ფუნქცია შეიცვალა და წინ წამოიწია ღვინის დაბალ ტემპერატურაზე შენახვამ და არა მისი გაცლის სიმარტივემ. ამიტომ ქვევრისთვის ფორმაც ისეთი უნდა მიეცათ, რომელი ფორმაც უზრუნველყოფდა ღვინის დიდი რაოდენობის მიწის სიღრმეში ყოფნას, რადგან მიწის სიღრმე ღვინისთვის მაცივარია, სწორედ ეს სიღრმე მოგვცემდა ღვინის შენახვის ოპტიმალურ ტემპერატურას. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენმა წინაპარმა არ იცოდა, რომ ღვინო 10-12 ცელსიუსზე უნდა შეენახა, თორემ არ გაუჭირდებოდა ამის გაკეთება. რადგან ჩვენ ეს ვიცით, მე შევცვალე ქვევრის ფორმა, ის რაც ზემოთ ჰქონდა ე.ი. ქვევრის გვამი, ქვემოთ გადავიტანე. ამან კი შეცვალა ღვინის მდგომარეობა ქვევრში, ღვინის სამი მეოთხედი, რომელიც ქვევრის თავში იყო და განიცდიდა მარნის ტემპერატურის ზემოქმედებას, მიწის სიღრმეში მოექცა და განიცდის მიწის ცივი ფენების ზემოქმედებას.

ქვევრის დამზადება დროში გაწელილი პროცესია და ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, ამ პრობლემის გადაწყვეტა კი აუცილებელია, რადგან ქვევრზე მოთხოვნა რომ გაიზრდება, დღევანდელი „ტემპით“ გაკეთებული ქვევრით ვერ დავაკმაყოფილებთ. მე შევქმენი ქვევრის დამზადების ტექნოლოგია, რომლის დახმარებითაც ერთ დღეში შეიძლება ნებისმიერი ზომის ქვევრის დამზადება. ამასთანავე ქვევრის დამზადების შესწავლა ერთ-ორ დღეში შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

გადავწყვიტე გარეცხვის პრობლემაც, თუ დღეს ერთი სამტონიანი ქვევრის გარეცხვას 1-2 დღე უნდა, ჩემი ტექნოლოგიით დამზადებულ ქვევრს მრეცხავი 1-2 საათში გარეცხავს.

ქვევრს ღვინის ჭურჭლად საბერძნეთში, ესპანეთში, კვიპროსზე და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში იყენებენ. წავიკითხე, რომ ამ ქვეყნებში ქვევრს მიწაში ნახევრად სვამენ. ე.ი. ის ძირითადი ფუნქცია ქვევრისა, – შეინახოს ღვინო მუდმივ დაბალ ტემპერატურაზე ყოველგვარი დანახარჯების გარეშე, უგულებელყოფილია. ეს კი იმას მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში ქვევრის გამოყენების დაბალი კულტურაა, და ქვევრს მსოფლიო მეღვინეობა სათანადოდ არ იცნობს. მე კი დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენ ქვევრზე მსოფლიო მეღვინეობას სათანადო ინფორმაციას მივაწვდით და ვეტყვით, თუ ისინი თავიანთ ძვირადღირებული კონდიციონერებით გაწყობილ მარნებს, რომელთა ექსპლუატაცია ყოველწლიურად ასიათასები უჯდებათ, ქვევრებით გაწყობილი მარნებით შეცვლიან, ამით კი წლების განმავლობაში ღვინოს სასურველ დაბალ ტემპერატურაზე უფასოდ შეინახავენ, ეს ყოველწლიურად იმდენი თანხის ეკონომია იქნება, არც ერთი მეღვინე, ვფიქრობ, ამაზე უარს არ იტყვის.

ცნობილია, რომ იაპონელებმა რამდენიმე ათასი წლის წინათ არსებული მიკროორგანიზმები მოიპოვეს. ისინი ამ მიკროორგანიზმებს ამრავლებენ თიხაში, მერე ამ თიხისგან ამზადებენ ჯოხებს და ასყიდებენ ევროპელ მეღვინეებს, ისინი ამ ჯოხებს ღვინოში ჰკიდებენ და მათ ღვინო სასიამოვნო გემოსა და უნიკალურ თვისებებს იძენს.

აი, რას წერს ამ საქმის მცოდნე პროფესორი ლევან ტაბიძე ღია წერილში ქვეყნის პრეზიდენტს: **„ეფექტური მიკროორგანიზმების ტექნოლოგიით დამზადებულ ქვევრში დაყენებულ ღვინოს, მასში შეძენილი უნიკალური თვისებების გამო, მსოფლიო ბაზარზე ანალოგი არ ეყოლება. ხოლო ქვევრი მსოფლიო ბაზრის უკონკურენტო საქონელი გახდება“.**

ბედის უკუღმართობით ჩვენ ღვინის მსოფლიო ბაზარზე გვიან გამოვედით. დიდი ხანია, ეს ბაზარი გაჯერებულია საეჭვო ხარისხის ღვინით. ჩვენ ამ ბაზარზე შევედით ისეთივე ღვინით, რომელიც ბაზარს უჩვენოდაც თავზე „საღვრელად“ აქვს. ეს ჩვენი დიდი შეცდომაა, ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ გვასწავლიდა: **„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა... ჩვენ ღვინოში არა არის რა გარდა ყურძნის წვენისა, ჩვენებური ღვინის დაყენებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა ჰქონია. თუ გსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულ ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია“.**

ილია ჭავჭავაძეს **„ჩვენს მართალ ღვინოდ“,** ჭაჭაზე ქვევრში დადუღებული, მაღალექსტრაქტული ღვინოები მიაჩნია და არა ევროპული ხერხით მუხის ექსტრაქტებით შეკაზმული ფალსიფიცირებული ღვინოები. „მართალი ღვინოების“ წარმოებას კი ბევრი კარგი ქვევრი დასჭირდება.

თუ ყველაფერ ამას, რაც აქ დავწერე და რაც დაუწერელი დამრჩა, მსოფლიო მეღვინეობამდე მივიტანთ, ქვევრი საქართველოსთვის ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო საქონელი გახდება და არც საქართველოში მოაკლდება მყიდველი. ყველაფერი ეს კი ერთი ექსპერიმენტული ქარხნის აშენებით უნდა დავიწყოთ, რომელზე გაწეული ხარჯები ერთი ათად დაუბრუნდებათ ამ საქმის ენთუზიასტებს.

**ჟორა გაბრიჭიძე.**

**შეკითხვებისთვის დარეკეთ: 851-333-155**



ასეთი ფორმის ქვევრი მზადდებოდა ძვ. წ. III საუკუნემდე



ასეთი ქვევრი მზადდება დღემდე



ასეთი ფორმის ქვევრი უნდა დამზადდეს შემდგომ

## ინფორმაცია

### ზურაბ წერეთელი იუბილარია

4 იანვარს, ცნობილ ქართველ მხატვარს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს, ზურაბ წერეთელს, 77 წელი შეუსრულდა.

წერეთელი 1934 წლის 4 იანვარს თბილისში დაიბადა. 1958 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დაამთავრა. მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მხატვარ-არქიტექტორად მუშაობდა.

1964 წელს პარიზში მხატვრული ფანტაზიის განვითარების კურსი გაიარა. შესაძლებლობა ჰქონდა, ახლოს გასცნობოდა პიკასოსა და შაგალს, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას.

1960 წლიდან წერეთელი აქტიურად იწყებს მუშაობას მონუმენტალურ ჟანრში. იგი ორი ათასზე მეტი ფერწერული ტილოს ავტორია. მისი მონუმენტები კი მსოფლიოს 11 ქვეყანაში დგას, მათ შორის – აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, იაპონიაში, ბრაზილიაში, საფრანგეთსა და ა.შ...

### თერაპიის ეროვნულ ცენტრსაც ჰყიდიან

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრს“ ყიდის.

სამინისტროს ინფორმაციით, იყიდება თერაპიის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1-ლარიანი ნომინალური ღირებულების 1103372 ცალი აქცია (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%).

სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრის“ საწესდებო კაპიტალი 1103372.00 ლარს შეადგენს და მისი საწყისი ღირებულება 1 მლნ. 105 ათასი ლარი.

ობიექტის გასხვისება 12 იანვრისათვის დანიშნულ აუქციონზეა დაგეგმილი. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, თერაპიულ ცენტრს 198724.00 ლარის დებიტორული დავალიანება და 408868.00 ლარის კრედიტორული დავალიანება გააჩნია.

### მელაანელებს მილიონლარიან სკოლას აუშენებენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში 200 ბავშვზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა აშენდება, რაზეც ერთი მილიონი ლარი დაიხარჯება.

ახალი სკოლა 2011 წლის 15 სექტემბრისთვის შევა ექსპლუატაციაში. ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა. როგორც რადიო „პირველს“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან აცნობეს, დიმიტრი შაშკინმა სოფელ მელაანში მშენებარე სკოლა სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან ირაკლი თოდუასთან ერთად დაათვალიერა.

ძველი სკოლის შენობა, რომელიც 1955 წელს იყო აშენებული ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. სკოლის 175 მოსწავლე გადანაწილებული იყო სოფლის ამბულატორიისა და სამედიცინო პუნქტის შენობებში, ბავშვებს სწავლისათვის სრულიად შეუფერებელ პირობებში უხდებოდათ სწავლა.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი სანიმუშო პიონერი იყო...



**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მასწავლებელმა, 98 წლის ნათელა ჯაფარიძემ, ვინც მაღალმთიან სვანეთში ცხოვრობს, ყოველკვირეულ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა თავის სამეურვეო ბავშვზე მისი სკოლის წლებში, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან**

ჯაფარიძემ ნორჩი სააკაშვილი ბავშვობაში დაახასიათა, როგორც „კარგი პიონერი“, რომელიც თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან დაჰყავდათ „არტეკში“.

პედაგოგის სიტყვებით, სააკაშვილი საერთოდ დიდ დროს ატარებდა პიონერთა ბანაკებში, „ის მათში იზრდებოდა“.

საქართველოს პრეზიდენტი ხშირად არის იმ მაღალმთიან მხარეებში, სადაც მისი მითითებით ამჟამად აშენებენ სამთოსათხილამურო ტრასებს, მაგრამ ნათელა ჯაფარიძე ამბობს, რომ მას ის, ალბათ, არ ახსოვს.

ის პრეზიდენტს „მიშიკოს“ უწოდებს. იხსენებს საქართველოს ლიდერის პიონერულ ბავშვობას, იგი განსაკუთრებით დაამახსოვრდა იმით, რომ მას შეეძლო პატაკის კარგად მიცემა – „წმინდა პიონერულად“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# ნამდვილი ზემოქმედება განათლებაზე

**თუკი ზოგიერთი ამერიკელის მიერ საჯარო სკოლების მდგომარეობის გამო გამოხატული შეშფოთების ხარისხს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, ვინმეს საქართველოს რესპუბლიკის მაგალითის გაზიარება და ქვეყნის პენიტენციალური სისტემის ყოფილი შეფისთვის ქვეყნის სკოლების ხელმძღვანელობის ჩაბარება მოუნდეს**

განათლების მინისტრის დიმიტრი შაშკინის თქმით, იმ მიზნით, რომ მოსწავლეთა ქცევა გაუმჯობესდეს, მან საკლასო ოთახებში ფარული კამერების დაყენება ბრძანა, რათა მოსწავლეებზე და მასწავლებლებზეც თვალი ეჭიროთ.



მას შემდეგ, რაც ერთი წლის წინათ თანამდებობაზე დაინიშნა, მან შეზღუდა სკოლის მმართველებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ავტონომია და საკუთარი სამინისტროს უფლებამოსილებები გაზარდა.

შაშკინი კრიტიკულად იყო განწყობილი ძველი სისტემისადმი და ამტკიცებდა, რომ ის „ზედმეტად ლიბერალური“ იყო. თვის დასაწყისში გამართულ კონფერენციაზე, 2010 წელს მიღწეული წარმატებების განხილვისას, მან განაცხადა: „ერთხელ ერთმა მასწავლებელმა მითხრა, რომ სკოლა ჯუნგლებივითაა. საბედნიეროდ, ჩვენ ამ ჯუნგლებიდან თავის დაღწევა მოვახერხეთ“.

გამკაცრებული წესები იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა, რომლებიც სკოლას გააცდენენ, სათამაშო მოედნები უნდა დაასუფთაონ, ხოლო რეციდივისტები ქვეყნის დასავლეთში, სპეციალურ დახურულ სკოლაში გაიგზავნებიან.

სექტემბრიდან პატრიოტიზმი სასწავლო პროგრამის ნაწილი გახდება, ხოლო იანვრიდან ზოგიერთ სკოლაში ცეკვის გაკვეთილები აუცილებელ საგნად იქცევა. ორივე საგანი ახალგაზრდებს შორის ქართული იდენტობის უფრო მძაფრი განცდის ჩამოყალიბების მცდელობაა.

იმის დასარწმუნებლად, რომ წესები სრულდება, თბილისში და სხვაგანაც ყველგან, სკოლებს ფარული კამერები და დამკვირვებლების გუნდი უთვალთვალებს.

მთავრობას, როგორც ჩანს მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციების მიმართ იმ ძველი ანდაზის გამოყენება აქვს განზრახული, რომლის თანახმადაც „როზგებს დაზოგავ, ბავშვს გააფუჭებ“ – სკოლის 8 დირექტორი იმის გამო, რომ საკმაოდ აგრესიულად ვერ მოახდინეს რეაგირება და მოსწავლეთა პროტესტი ვერ ჩაახშეს, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

უთანხმოებაში პრეზიდენტი სააკაშვილიც კი ჩაერთო, როდესაც პროტესტანტ სტუდენტებს „ოროსნების რევოლუცია“ უწოდა. არადა 2003 წელს ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ ავტონომიური სკოლების დეცენტრალიზებული სისტემა სწორედ სააკაშვილმა შექმნა.

პოლიტიკის ცვლილება, ალბათ, 2007 წლის ნოემბრის მასობრივმა საპროტესტო აქციებმა გამოიწვია. მაშინ პრეზიდენტმა ვადამდელი არჩევნები დანიშნა, რათა მისი მმართველობისთვის შექმნილი პრობლემები მოეგვარებინა.

არჩევნების წინ სააკაშვილი მასწავლებლებს ეფერებოდა, მათ სავალდებულო ტესტების გაუქმებას, დირექტორების დანიშვნის სისტემის შეცვლას, უკეთეს ხელფასს, შეღავათებსა და სოციალურ დახმარებებს ჰპირდებოდა. სრულიად გამართლებული ზომებია, თუმცა მათგან ყველა არ შესრულებულა.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ როზგი უფრო ეფექტიანი შეიძლება გამოდგეს, ვიდრე ტკბილი კვერი.

THE SPOKESMAN-REVIEW

# დედამიწის ზურგზე

**თეთრმა სახლმა კოსაჩოვისთვის გაიმეორა: კავშირი შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებასა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას შორის არ იქნება**

ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებდა, რომ ხელშეკრულება შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ შეზღუდვებს არ დააწესებს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებაზე ევროპაში. ამ დროს რუსეთის დეპუტატებს განზრახული აქვთ მიიღონ ხელშეკრულება შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ იმის შენიშვნით, რომ ასეთ კავშირს იურიდიული ძალა არ ექნება.



* * *

**ავსტრალიაში წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვი 10 კაცამდე გაიზარდა**

უძლიერესი წყალდიდობა გამოიწვია ტროპიკულმა შტორმმა „ტაშამ“. უბედურებამ მოიცვა 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, რომელთა ტერიტორიაც საფრანგეთის ფართობს აჭარბებს. მდინარეებიდან სახლების მახლობლად გადმოდიან ნიანგები. ხელისუფლებამ სტიქიის ამგვარი „თავაშვებულობა“ „ბიბლიურ წარღვნას“ შეადარა.



* * *

**აშშ-ში გაასამართლეს ვაჭარი, რომელსაც ავღანეთში ჩაჰქონდა იარაღი ჩინეთიდან**

25 წლის ეფრაიმ დივეროლი სათავეში ედგა იმ კომპანიას, რომელიც 2007 წელს გახდა იარაღისა და საბრძოლო მასალების ძირითადი მიმწოდებელი ავღანეთის ძალოვანი სტრუქტურებისთვის. საბრძოლო მასალები უნდა შემოეტანათ უნგრეთიდან, მაგრამ სინამდვილეში მას აწარმოებდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და ყიდულობდნენ საწყობებიდან ალბანეთში, რაც ამერიკული კანონებით აკრძალულია. დივეროლის 4 წლის პატიმრობა მიუსაჯეს.



* * *

**ირანმა თავის ბირთვულ ობიექტებზე მიიწვია რუსეთის, ჩინეთისა და ევროკავშირის წარმომადგენლები**

ვიზიტის ოპტიმალურ თარიღად დასახელებულია 2011 წლის 15 და 16 იანვარი. ეჭვი შეაქვთ, რომ ირანი ამუშავებს ბირთვულ იარაღს, თავად რესპუბლიკაში ამას უარყოფენ. 2010 წლის 7 დეკემბერს ჟენევაში დამთავრდა მოლაპარაკება ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ. ირანის დოსიეს განხილვის შემდეგი რაუნდი, როგორც ელოდებიან, გაიმართება 2011 წლის დასაწყისში სტამბოლში.



* * *

**იაპონიის პრემიერ-მინისტრმა უარი განაცხადა პარლამენტის დათხოვნაზე**

„შარშანდელი წელი იყო რთული და გვესმის, რომ ყველა პრობლემას ღირსეულად ვერ გავართვით თავი, – ხაზგასმით აღნიშნა ნაოტო კანმა. – მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ახალ წელს ჩვენ შევძლებთ შევასრულოთ დასახული მიზნები და ამოცანები და გამოვასწოროთ ძველი შეცდომები“.



* * *

**ბოსტონში მათემატიკოსი გადმოსვეს თვითმფრინავიდან მის ხელჩანთაში „ძლიერი ხმაურის გამო“**

აეროპორტში გამოიძახეს პოლიცია. შემოწმების დროს პლასტიკურ პაკეტში აღმოჩნდა გასაღებების აცმა, ფუნთუშა კრემით, შლაპა და საფულე. პოლიციამ აღიარა, რომ დაპატიმრებული საფრთხეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მას მაინც წაუყენეს ბრალდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში. მეცნიერი გაათავისუფლეს მხოლოდ გირაოთი.

* * *

**იერუსალიმში დააპატიმრეს ბრიტანეთის საკონსულოს ორი თანამშრომელი იარაღის გაყიდვისთვის**

ექვმიტანილები, რომლებსაც უკვე წაუყენეს ოფიციალური ბრალდება, ეხმარებოდნენ ისლამისტური დაჯგუფების „ჰამასის“ ორ წევრს სასროლი იარაღის შეძენაში. ისინი აპირებდნენ მოეხდინათ სარაკეტო სროლა სტადიონის მისამართით ფეხბურთის მატჩის დროს.



* * *

**პრეზიდენტების – ბუშების მრჩევლის სხეული ნაგავსაყრელზე აღმოაჩინეს**

66 წლის ჯონ უილერის ნეშტი აღმოაჩინეს 31 დეკემბერს. წინასწარი მონაცემებით, გარდაცვლილის სხეული ნაგავსაყრელზე მოიტანა ნაგვის მანქანამ. პოლიცია დარწმუნებულია, რომ უცნობებმა მისი სხეული მოკვლის შემდეგ მოათავსეს ერთ-ერთ სანაგვე ყუთში, რომლის ნაგავიც მოგვიანებით ჩაიტვირთა სატვირთო ავტომანქანაში ნაგვის შეგროვების დროს.





# ირაკლი, დიდი ირაკლის შვილიშვილი

(მეექვსე გვერდიდან)

და მამამან ჩემმან მეფემან ირაკლიმ შევედრა თავი თვისი იმპერატრიცა ეკატერინას, რათამცა დაიცვას სამეფო და სახლი თვისი გარემოთა მტერთაგან“. ასეთი ლაპარაკი სულ ტყუილი იყო, უფრო კი მგლის თავზე სახარების კითხვა. აი კიდევ ერთი მიმართვა პავლე ციციანოვისადმი: „მამამან ჩვენმა, მათის იმპერატორების დიდებულებას ამისათვის მიმართა, რადგან ქრისტიანული ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ბრძანდებოდა, ამისთვის რომ თავისი ოჯახი და საქართველო უმეტესად აღემაღლებინა“. პეტრე ბაგრატიონს კი ალექსანდრე წერდა: „ჩვენმა ოჯახმა ამიტომ შეიტანა თავი რუსეთის ხელმწიფის საფარველს ქვეშე, რომ ჩვენს ქვეყნებს გარდა სხვა ქვეყნებიც შეგვმატებოდა“.ცხადია, გული არც ერთს აუჩუყდა, არც მეორეს...

იყო კი რაიმე იმედი? რუსეთის წინააღმდეგ მხოლოდ სპარსეთის გამოყენება თუ შეიძლებოდა. აქ აღა-მაჰმად-ხანის შემდეგ ტახტზე მისი ძმისწული ფეტ-ალი-შაჰი იჯდა, გაუნათლებელი და არც ისე ენერგიული მმართველი, რომელიც ისტორიაში შევიდა თავისი ფანტასტიკური ნაყოფიერებით: ძნელი დასაჯერებელიც კია, მაგრამ ახალ შაჰს რამდენიმე ასეული შვილი და შვილიშვილი ჰყავდა. სამაგიეროდ ქვეყანას ძალიან გამოადგა ტახტის მემკვიდრე ნიჭიერი და განათლებული აბას-მირზა. იგი თვლიდა, რომ რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრება ირანისათვის სრული მარცხის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ იგი ყოველგვარ საშუალებას იყენებდა ჩრდილოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, სად აღარ ეძებდა მოკავშირეებს. აბას-მირზა დაუმეგობრდა ალექსანდრე ბატონიშვილს, თანაც ეს მეგობრობა სავსებით გულწრფელ ხასიათს ატარებდა. „ეს დაუცხრომელი მეომარი, დარბაისელი და ღირსეული მოწინააღმდეგე, მარტო იმის ოცნებაში იყო, რომ საქართველოს მიწა-წყალი „რუსული უწმინდურებისაგან“ გაენთავისუფლებინა და გურჯისტანში ბაგრატიონის ტახტი სპარსეთის მფარველობის ქვეშ აღედგინა. მდგომარეობას არ ცვლის ისე, რომ ამას თვით სპარსეთის ინტერესები მოითხოვდა“. ვფიქრობთ, ქალბატონ თამარ პაპავას ეს დასკვნები წიგნში „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ სრულიად მართებულია.

აბას-მირზამ ალექსანდრე თავის მამასაც, ფეტ-ალი-შაჰს გააცნო, რომელიც ბატონიშვილს ყოველგვარ ზრუნვა-მფარველობას დაპირდა. ამასთან, რახან ბატონიშვილი უცოლო იყო და მემკვიდრე არა ჰყავდა, მამა-შვილი ძალზე სასურველად მიიჩნევდა მის დაოჯახებას. რა ვუყოთ, რომ იგი უკვე 50 წლისა იყო, თუ მას შვილი გაუჩნდებოდა, ყველა სხვა ბაგრატიონის რუსეთში გადაყვანისა და იზოლაციის პირობებში, რუსებს ახალი თავსატეხი გაუჩნდებოდათ. ამასთან ალექსანდრეს შეგნებულად უვრცელებდნენ ხმებს, თითქოს იგი თანახმა იყო შეეწყვიტა ყოველგვარი წინააღმდეგობა და პეტერბურგისათვის მორჩილად თავი დაეკრა. ნურას უკაცრავად: „რუსეთის ქვეშევრდომობაში შემოვალ იმ შემთხვევაში, თუ დამიბრუნებენ საკუთარ საოცნებო მემკვიდრეობას, ანუ დამითმობენ საქართველოს!“

რახან ალექსანდრეს სულ ხშირად ესმოდა ხმები იმის შესახებ, რომ ირანელებისათვის ძალზე სასურველი იქნებოდა მისთვის მეტოქის ყოლა, ამიტომ გადაწყვიტა თვით აერჩია თავისი საყვარელი მეუღლე და მომავალი დედოფალი.

ერთხანს ალექსანდრე ბატონიშვილი ფიქრობდა ცოლად მოეყვანა რუსეთის ცნობილი მოწინააღმდეგის და მათთან ბრძოლაში დაღუპული დიმიტრი აბაშიძის ასული, რომელიც დიმიტრის ძმის ლევანის ოჯახში იზრდებოდა. ეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მის გავლენასაც გააძლიერებდა იმერეთში, სადაც კავკასიის მთავარმართებელმა ტორმასოვმა 1810 წელს სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა. ეს ხომ სოლომონ II-ის ტახტიდან გადაყენებასაც ნიშნავდა. თუ იმერეთში ახალი აჯანყება დაიწყებოდა, ტახტის ახალ პრეტენდენტად შეიძლებოდა სწორედ ალექსანდრე წამოეყენებინათ. ასეთი შესაძლებლობა რუსებს ძალიან არ აძლევდათ ხელს. ეს კარგად ჩანს ერმოლოვის წერილში, რომელიც მან ლევან აბაშიძეს მისწერა: „ხოლო, რაიცა შეეხება ბატონიშვილ ალექსანდრეს წინადადებას თქვენი ძმის, დიმიტრი აბაშიძის ასულის ცოლად შერთვის შესახებ, გატყობინებთ ჩემის მხრივ, რომ მისი ასეთი სურვილი არასოდეს არ შესრულდება და არც შეიძლება შესრულდეს თქვენგან, ვინაიდან ამგვარი დანათესავება იმ ადამიანთან, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს რუსეთის მავნებლობისკენ მართავს. ასეთ ადამიანთან დანათესავება არა თუ მოუმატებს რაიმე ღირსებას თქვენს ოჯახს, არამედ შემდეგში შეუძლიან ბევრი უსიამოვნება და სამართლიანი ეჭვები მთავრობასა თავს დაატეხოს. ამის გამო, გულწრფელად გირჩევთ და მოვითხოვ თქვენი ბრწყინვალებისაგან, რომ თქვენ ასეთი წინადადება ბატონიშვილ ალექსანდრესი თქვენი პირადი მშვიდობიანობისათვის გადაწყვეტილად და ზიზღით უკუაგდოთ“.

რახან რუსეთმა ჩაშალა გეგმა ალექსანდრე ბატონიშვილის დაქორწინებისა აბაშიძის ქალთან, ახლა საჭირო გახდა სხვა შესაძლებლობების ძებნა. ალექსანდრესთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, რათა მას არ ეცადა ოსმალეთთან რაიმე მოლაპარაკების გამართვა, აბას-მირზამ გადაწყვიტა თვით აქტიურად ჩარეულიყო ალექსანდრეს პირად საქმეებში. ამ მიზანს ემსახურებოდა, ჯერ ერთი ბატონიშვილისათვის სერიოზული „დომენის“ შექმნა სპარსეთის ტერიტორიაზე, შემდეგ კი მისთვის საცოლეს მონახვა. როგორც ერმოლოვი საგარეო საქმეთა მინისტრ ნესელროდეს ატყობინებდა, აბას-მირზა ბატონიშვილს აძლევს არაქსთან ახლოს მდებარე ქალაქს რამდენიმე სოფლით, რომლებიც რუსეთის საწინააღმდეგო ბაზად უნდა იქმნეს გამოყენებული მათ მიერ. აი კიდევ ერთი წერილი, რომელიც ამის შემდეგ ერმოლოვს პეტერბურგში გაუგზავნია. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ აბას-მირზას დაჟინებით ბატონიშვილ ალექსანდრეს მიეცა სამფლობელო ყარაბახისა და ჩვენი თათრული პროვინციების საზღვარზე, სადაც მას კავშირი და ურთიერთობა აქვს. მას მისცეს თანხა. ციხის ასაღებად და გარდასახლებულთა დასაბინავებლად, რომელთა გადაბირებას უნდა შეეცადოს ჩვენი სოფლებიდანო. ალექსანდრე ბატონიშვილს ეზოძა დარალაგაოზის ოლქი, სადაც უმთავრესად ყარაბახიდან გასული თათრობა ცხოვრობდა. როგორც ერმოლოვი წერდა: „აბას-მირზა ცდილობს ბატონიშვილს ჯვარი დასწეროს, რათა მას გაუჩნდეს მემკვიდრე მამრობითის სქესისა და ამ მიზნით სპარსეთის მიერ გაგზავნილია შუაკაცები თურქეთში მცხოვრებ აისორთა მღვდელმთავართან, რათა მან ბატონიშვილს თვისი ძმისწული მიათხოვოს.



აბას-მირზას ამ ცდას შედეგი არ მოუტანია. არ შედგა ალექსანდრეს ქორწინება აისორ ქალთან. მაშინ სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ მეტი ყურადღება მიაქცია ერთ საინტერესო წინადადებას, რომელიც უკვე ეჩმიაძინის ხელმძღვანელებისგან მოდიოდა. მათ გადაწყვიტეს ალექსანდრესთვის გაეცნოთ ერევნის მელიქის აღამალოს ასული მარიამი, რომელიც ამ დროს 14-15 წლისა თუ იქნებოდა. ეს ქართველთა და სომეხთა ახალ დაახლოებას გამოიწვევდა, რომელიც, ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული, ხელსაყრელი კი მხოლოდ სპარსეთისათვის. ეს ის პერიოდი იყო, როცა ერევნის სარდალი მარჯვედ იგერიებდა რუსების ცდებს დაუფლებოდნენ ამ სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვან ქალაქს, ხოლო სომხური კაპიტალი სულ უფრო უპირისპირდებოდა ამიერკავკასიაში მეტად გააქტიურებულ რუსულ კაპიტალს.

საქმის გაჭიანურება არც ალექსანდრეს აძლევდა ხელს. მან რამდენჯერმე ინახულა მელიქის მშვენიერი ასული, რომელიც რატომღაც მონაზონად იყო დაწინდული და სამონასტროდ ამზადებდნენ. 1820 წლის მაისში ეს ქორწინება შედგა. 1820 წლის 20 მაისს გენ. სავარსამიძე მთავარმმართებლის თანაშემწეს გენ. ველიამინოვს ატყობინებდა, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე დარალაგაოზშია და ამ დღეებში მოელოდებიან ეჩმიაძინში, სადაც ის ჯვარს დაიწერს მელიქ საააკის ასულზე. აბას-მირზამ თვით აიღო თავზე ყოველი ხარჯები ქორწინებისათვის.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და მარიამ აღამალის ერთადერთი ვაჟი, რომელსაც სახელად ბუნებრივია, ირაკლი დაარქვეს, 1828 წელს დაიბადა. ამის შემდეგაც ალექსანდრეს მშვიდობიანი ცხოვრება არ ეწერა და რუსებთან უამრავ ომსა თუ შეტაკებაში მონაწილეობდა. მისი მეუღლე და პატარა ვაჟი ერევანში კარგად იყვნენ დაცული, თვით ბატონიშვილი კი სალმასტის სატრაპიის აისორულ სოფელ ხოსროვიაში ცხოვრობდა, სადაც ბევრი იყო სომეხიც, ალექსანდრეს კი მუდმივად ახლდა 50 ქართველი ვაჟკაცი. მთავრობისაგან იგი მუდმივად იღებდა პენსიას 2000 ლირას, რომელსაც რაზმის შესანახად იყენებდა.

თავისთავად ცხადია, ბატონიშვილი უაღრესად აქტიურად მონაწილეობდა 1826 წელს დაწყებულ რუსეთ-სპარსეთის ახალ ომში. ამ დროს, რახან სპარსეთის მთავარი სამხედრო ბაზა თავრიზში იყო და აბას-მირზაც მუდმივად ამ ქალაქში ცხოვრობდა, ალექსანდრეც ოჯახიანად აქ დასახლდა. აქ ბევრი ქართველი ლტოლვილიც ცხოვრობდა. თავრიზში მარიამს ნამდვილი ანტირუსული სალონი ჰქონდა. აქ თავს იყრიდნენ არა მარტო ქართველები, არამედ დაღესტნიდან გადმოსულებიც. ალექსანდრე კი ერთთავად ბრძოლის იმ უბნებში იყო, სადაც შემტევ რუსებს შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა.

ალექსანდრეს ოჯახის „თავრიზული პერიოდი“ მეტად მოულოდნელად და კურიოზულად დასრულდა. მართალია სპარსელები თითქმის ყველგან მარცხდებოდნენ, მათი არმია, რომელიც კვლავინდებურად უფრო უდისციპლინო ლაშქარს ჰგავდა, ვიდრე თანამედროვე არმიას, მაგრამ თავრიზს გარეგნულად თითქოს არავითარი საფრთხე არ მოელოდა. ასეთ პირობებში რუსების გენერალმა ელიზბარ ერისთავმა მეტად თამამი გადაწყვეტილება მიიღო: მთავარსარდალ პასკევიჩის ბრძანებას არ დალოდებოდა და პირდაპირ თავრიზისათვის შეეტია. ამ გაბედულმა გადაწყვეტილებამ გაამართლა და დიდი ქალაქი თავრიზი რუსების ხელში აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ამ მომენტში სად იბრძოდა თვით ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ მეტად უსიამოვნო ამბავი კი მოხდა: როგორც მარიამი, ისე მისი ყრმა შვილი ერეკლე რუსების ტყვეები გახდნენ. რახან მალე თურქმენჩაის ზავი დაიდო, მარიამი და ერეკლე ამიერიდან ერევანში მელიქ აღამალის ოჯახში დააბინავეს. ალექსანდრე მათ უკვე ვეღარ მიეკარებოდა. სხვა საკითხია, რომ რუსები, როგორც მათ ამის საშუალება მიეცემოდათ, ჯერ თბილისში გადაყვანაზე, შემდეგ კი საერთოდ რუსეთში გადაგზავნაზე იზრუნებდნენ — საქართველოში ხომ არც ერთი ბაგრატიონი არ უნდა დარჩენილიყო!

თურქმენჩაის ზავის დადების შემდეგ თითქოს ალექსანდრე ბატონიშვილსაც შეიძლებოდა ჰქონოდა იმედი, რომ რუსეთი მის ოჯახს მისცემდა საშუალებას სპარსეთში გადასახლებულიყო. რა თქმა უნდა, რუსები ამაზე არცკი ფიქრობდნენ, თუმცა დიპლომატიური მიწერ-მოწერა პეტერბურგსა და თბილისს შორის საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა. მთავარმმართებელი ბარონი როზენი საგანგებო დავალებით მიმართავდა ერევანში სომხეთის ოლქის მმართველ გენ. ბებუთოვს, რომელსაც უნდა ემოქმედა დედაზე, რათა შვილთან ერთად თბილისში გადმოსახლებულიყო. იმპერატორი მათ პეტერბურგში ეპატიჟებოდა, სადაც დედა-შვილს პირდაპირ ფუფუნებაში აცხოვრებდნენ, ერეკლე კი საუკეთესო სასწავლებელში ისწავლიდა. თუ იგი ყოველგვარი განათლების გარეშე დარჩებოდა, ხომ შეიძლებოდა სიძულვილით გამსჭვალულიყო რუსეთის მიმართ. თუ მამამისს, ალექსანდრეს მეგობრული კავშირი ჰქონდა ლეკებთან, ხომ შეიძლებოდა ირაკლიც მთებში გაპარულიყო და საგრძნობი ზიანი მიეყენებინა მთავრობისათვის.

არაერთი მოლაპარაკების მიუხედავად, გენ. ბებუთოვი მარიამთან ვერაფერს გახდა. იგი მის სიჯიუტეს პირდაპირ ისტერიულს უწოდებს. „ამ გააფთრებულ ქალზე არავითარი საბუთი არა სჭრის და მე ყოველგვარი იმედი დავკარგე, რომ ის ნებით ან შვილს მარტოკა გამოუშვებს ან მასთან ერთად წამოვაო“.

რახან ბებუთოვს არა გამოუვიდა რა, მას ახალი მითითება მიეცა, ძალა ეხმარა და ისე ჩამოეყვანა ირაკლი თბილისში. ვერც ამან იმოქმედა: „უგვირგვინო დედოფალმა“ ბებუთოვს გადაჭრით განუცხადა, რომ თავისი ხელით განგმირავს ხანჯლით საკუთარ შვილს, თუ მართლაც მის წაყვანას დააპირებენ“. ბებუთოვი მარიამის ასეთ სიჯიუტეში მის მამას, მელიქ საააკს ადანაშაულებდა, მის გარეშე დედა ასე სასტიკად ვერ მოიქცეოდაო. ამავე დროს, ბარონი როზენი აფრთხილებს სომხეთის მმართველს, კარგად ეჭიროს თვალი მარიამზე, რომ იგი ჩუმად არ გაიქცეს, ან შვილი არ გააპაროს სადმეო.

1833 წლის 5 აგვისტოს გენ. ბებუთოვმა თბილისში, ცოტა არ იყოს, იმედისმომცემი წერილი გამოაგზავნა. მარიამი შვილთან ერთად ჩამოვა თბილისში, რათა ყრმა, 7-8 წლის ერეკლეს ერთგვარი საწყისი განათლება მაინც მიელო, წერა-კითხვა, თუნდაც რუსული ესწავლა. დედამისი თბილისში იმდენ ხანს დარჩებოდა, რამდენიც სურდა. ამავე დროს იგი ალექსანდრე ბატონიშვილთან წერილს გააგზავნიდა. მარიამს იმედს აძლევდნენ, რომ იმპერატორი ალექსანდრეს ყველაფერს აპატიებდა, იგი შეურიგდებოდა რუსეთს, ჩამოვიდოდა და ისე იცხოვრებდა, როგორც სხვა ბატონიშვილები ცხოვრობდნენ. მარიამის მიმოწერა კარგა ხანს გაგრძელდა და იმით დამთავრდა, რითაც უნდა დამთავრებულიყო — ალექსანდრე მთავრობას ვერ შეურიგდებოდა და, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში დამბრუნებელიც არ იყო. იგი ძველებურად მარიამისა და ირაკლის გაგზავნას მოითხოვდა სპარსეთში.

1834 წლის აგვისტოში დედა-შვილმა თბილისი დატოვა და პეტერბურგისაკენ აიღო გეზი. აქ ისინი ბატონიშვილების მრავალრიცხოვან ოჯახს შეუერთდნენ. ირაკლი პაჟთა კორპუსში სწავლობდა, თუმცა სამხედრო კარიერაზე არც უფიქრია. მისი მიზანი თბილისში დაბრუნება იყო. კარგა ხანს მთავრობას ბაგრატიონების თბილისში დაბრუნებაზე ლაპარაკიც კი არ სურდა, მაგრამ როცა 1845 წელს ახალ ნამესტნიკად მ. ვორონცოვი დაინიშნა და ცნობილი „ლიბერალური პოლიტიკის“ განხორციელება დაიწყო, ირაკლის, რომელიც რაიმე თანამდებობის დაკავებასა და არც ქონების დაგროვებისაკენ არ მიისწრაფოდა, არც დიდი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა, ამის საშუალება მიეცა, თბილისში ცხოვრობდა მარიამიც (1828-1882წ, რომელიც ერთხანს მამასთან იმყოფებოდა ერევანში, მაგრამ მაინც მეუღლის დედაქალაქში ყოფნა არჩია. აქ მიიღო მან ცნობა, რომ თვით ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844წ 74 წლის ასაკში თეირანში გარდაიცვალა.

80-იანი წლების ძველი თბილისის მცხოვრებლებს ქუჩაში წყნარად მოსიარულე მოხუცებული ერეკლე არაერთხელ უნახავთ, ზოგს უფიქრია კიდეც, რომ საქართველოს ძველი დიდების ეს თავისებური სიმბოლო გარეგნულად ძალიან ჰგავდა თავის დიდ პაპას, დიდ ერეკლეს.

„ერეკლე იყო შუათანა ტანის, მხრებში წახრილი, როგორც მისი პაპის ერეკლეს სურათს ვხედავთ, სახითაც მას ამგვანებდნენ. წმინდა ბაგრატიონთ ტიპი ჰქონდა: შავი თვალ-წარბი, სწორი, ცოტა მოზრდილი სახის გამომეტყველება, საკმაოდ მაღალი, ზრუნვის ბეჭდით აღბეჭდილი შუბლი, კაცის გულს მიიზიდავდა... უყვარდა ქართული კაბით სიარული“...

ირაკლი კულტურისა და განათლების საკითხებზე ზრუნავდა. შეუქმნია წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი. თბილისში დაუარსებია ორი სკოლა: ერთი მთაწმინდაზე და მეორე ავლაბარში. ხალხი ამ სკოლებს თურმე „ერეკლეს სკოლებს“ ეძახდა. ცნობილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წინამორბედი ეტყობა, სწორედ „ერეკლეს კომიტეტი“ იყო. ერეკლეს შესახებ, სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცით. ერთხელ ევროპაშიც უმოგზაურია, რაღაცა კავშირი ნაპოლეონ მესამესთანაც ჰქონია.

ერეკლე გარდაიცვალა თბილისში, თავის სასახლეში 1882 წლის 27 აპრილს, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ... ცხედრის გამოსვენება მომხდარა 1 მაისს, დილის 10 საათზე, სიონში. გზა სახლიდან სიონის ტაძრამდე სავსე ყოფილა ხალხით, ყველა სავაჭრო დაუკეტიათ და მთელი ამქარი გამოსულა. კუბო წაუსვენებიათ ბალდახინით, რომელსაც ორი კუთხით საქართველოს მეფეთა ღერბი ამკობდა. აქედან იგი წაასვენეს მცხეთაში და მეორე დღეს სვეტიცხოველში დაუსაფლავებიათ. დასაფლავების დღეს ტფილისიდან სპეციალური მატარებლები იქმნა დანიშნული, რომელმაც მცხეთაში სამი ათას კაცამდე წაიყვანა. სხვა კუთხეებიდანაც ბლომად მიაწყდა მცხეთას ხალხი და სოფლის ხალხმა ძლეხი გამართაო — დასძენდნენ ამ ამბის მომსწრენი. სჩანს — ქართველმა ხალხმა თავის ბატონიშვილს ძველ სიონ-მცხეთის წიაღში ნამდვილი მეფური წირვა და დაკრძალვა გაუმართა.

ირაკლის ცოლად ჰყავდა თამარ ჭავჭავაძე, დავით ჭავჭავაძის ასული და პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი. მათ ჰყავდათ ორი ქალიშვილი: ელისაბედი და ეკატერინე ბაგრატიონ-გრუზინსკები. ელისაბედი სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა და „საზანდარის“ ფსევდონიმითაც იყო ცნობილი.

გივი გამრეკელი

### კალენდარი

## იანვრის ციებ-ცხელება

**იანვარი აღსავსეა სპორტული ღონისძიებებით. ცხადია, ზამთრის სახეობებში გასამართი ტურნირები ჭარბობს, თუმცა, არც სხვათა ნაკლებობა შეიმჩნევა. ფეხბურთის გულშემატკივრები, ტრადიციულად, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩების ხილვით დატკბებიან. ალბათ, 7-29 იანვარს აზიის თასის გათამაშებაც არ იქნება ინტერესმოკლებული.**

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატია, რომელსაც 23-30 იანვარს ბერნი უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებაში გამოვა კონტინენტის შარშანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი, რომელიც სამეულში ადგილის შენარჩუნებას შეეცდება.



17 იანვარს მელბურნში ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყება. 30 იანვარს რეილში (ჩრ. კაროლინაძ ჰოკეიში „ყველა ვარსკვლავის მატჩი" გაიმართება.

### ჭადრაკი

## ვაჟები – თბილისში, ქალები – ანაკლიაში



**საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები წლეულს 10 იანვრიდან დაიწყება. ვაჟები სტარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში აიღებენ. 16 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ნოკაუტსისტემით იბრძოლებენ სამივე სინჯის მედლებისთვის. პირველ-მეორე რაუნდში მეტოქეები ორ-ორ კლასიკურ პარტიას ითამაშებენ. შეხვედრა ფრედ თუ დამთავრდა, გამარჯვებულს ტაიბრეიკები გამოავლენს. ნახევარფინალსა და ფინალში 4-4 ორთაბრძოლაა დაგეგმილი.**

ქალებში 13 მონაწილეა – ისინი წრიული სისტემით ანაკლიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ორივეგან პირველ-მესამე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

მაშ ასე, ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ: **ქალები:** სალომე მელია, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნაზი პაიკიძე, მარიამ დანელია, ნინო ბაციაშვილი, მერი არაბიძე, მაკა ფურცელაძე, მირანდა მიქაძე, სოფიკო ნიკოლაძე.

**ვაჟები:** მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, თორნიკე სანიკიძე, დავით ბენიძე, დავით ჯოჯუა, გიორგი მარგველაშვილი, მალხაზ სულაშვილი, ლუკა პაიჭაძე, შოთა აზალაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, გიგა ყუფარაძე, დავით ზარქუა.

ორივე ტურნირის საერთო საპრიზო ფონდია 28 ათასი ლარი.

**გივი გაგუა**

### წყალბურთი

## ორიენტირი – ლონდონი



**ოცწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ქართულმა წყალბურთმა აღორძინება დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შარშანდელი სეზონი. საქართველოს ნაკრებმა თბილისის საერთაშორისო ტურნირში ინგლისის, ბელარუსისა და უკრაინის გუნდებს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. გვიან შემოდგომით ევროპის ჩემპიონატში ჩაება და სასტარტო შეხვედრაში ისევ დიდი ბრიტანეთის ნაკრებს სძლია 9:3.**



თავი ისახელეს ჭაბუკებმა და ახალგაზრდებმაც. ოცწლიანებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშეს. ჭაბუკებმა (1995 წელს და უფრო გვიან დაბადებულნიძ ზაფხულში სერბ თანატოლებთან ოთხი შეხვედრა წააგეს. ოქტომბერში მათთან გაიარეს ერთობლივი საწვრთნელი შეკრება და სამ ტესტ-მატჩში წარმატებას მიაღწიეს.

დაძაბული იქნება წლევანდელი სეზონიც. როგორც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბითაძემ გვითხრა, ეროვნული ნაკრები 30 მარტს ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩს გამართავს ბერძნებთან თბილისში, მაისსა და ივლისში გასვლითი ორთაბრძოლები ექნება ათენსა და მანჩესტერში. ამასთანავე, ქვეყნის პირველი გუნდი ჩაებმება აღმოსავლეთის ლიგაში. სავარაუდოდ იქ ჩვენებთან ერთად უკრაინელები, ბელარუსები, მოლდოვები, ყაზახები და პოლონელები ითამაშებენ. 1995-1996 წელს დაბადებული წყალბურთელები სერბ თანატოლებთან გაივლიან საწვრთნელ შეკრებას და თებერვლიდან ამ ქვეყნის პირველობაში იასპარეზებენ. „ქართველი წყალბურთელებისთვის 2011 წელს მთავარი ორიენტირი 2012 წლის ოლიმპიური თამაშები იქნება. – გვითხრა ალექსანდრე ბითაძემ. – ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა ლონდონში გასამგზავრებელი საგზური დავიმსახუროთ".

**ლექსო ცინცაძე**

### მსოფლიო თასი



## ეტიუდების შედგენაში პირველია

**ფიდეს ინიციატივით შარშან პირველად გათამაშდა მსოფლიოს თასი საჭადრაკო კომპოზიციებში.**

ეტიუდების შედგენაში ძალებს ცდიდა მრავალი კონკურსის გამარჯვებული იური აკობია. ჟიურიმ მას მსოფლიო თასი მიაკუთვნა. ჭადრაკის ეროვნულმა ფედერაციამ ქართველი ეტიუდისტი 2010 წლის ერთ-ერთ ნომინაციაში საუკეთესოდ ცნო და სპეციალური პრიზითაც დააჯილდოვა.

### ჩოგბურთი

## ანამ დაასრულა, ოქსანა იწყებს

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი ანა ტატიშვილი ავსტრალიაში ბრისბენის საერთაშორისო ტურნირში ჩაება.**

მან წარმატებით განვლო საკვალიფიკაციო ეტაპი, მაგრამ ძირითად ბადეში პირველივე ორთაბრძოლა დათმო ჩეხ ბარბორა ზაჰლავოვა-სტრიჩივასთან – 5:7, 2:6. ტატიშვილმა ტურნირზე 17 სარეიტინგო ქულა და 1,7 ათასი დოლარი მიითვალა.

ჩინეთის ქალაქ ქუანჟოუში 50-ათასიან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას ოქსანა კალაშნიკოვა, ჩვენებურის პირველი მეტოქეა შენ-ნან სუნია (ჩინეთიძ. წყვილთა თანრიგში ოქსანა უკრაინელ იულია ბეიგელციმერთან ერთად იასპარეზებს.

**ლაშა დიდია**




### ინტერნეტიდან

## მოპარული ლოგოტიპი?

**ბრაზილიურმა მასმედიამ დაადანაშაულა 2016 წლის ოლიმპიადის ლოგოტიპის შემქმნელები პლაგიატში. ეს ოლიმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში უნდა გაიმართოს.**

რიო-2016-ის ლოგოტიპი ახალი წლის წინ წარადგინეს. ჟურნალისტებმა მისი არსებითი მსგავსება აღმოაჩინეს ამერიკული საქველმოქმედო ფონდის Telluride Foundation ლოგოტიპთან, ეს ფონდი მუშაობს კოლორადოს შტატის ქალაქ ტელერაიდიში. ორივე ლოგოტიპზე არის ხელიხელჩაკიდებული, მოცეკვავე ადამიანების სტილიზირებული ფიგურები. თუმცა ოლიმპიურ ლოგოტიპზე სამი ფიგურაა, ფონდისაზე კი – ოთხი და მათი საერთო სილუეტი გულს მოგაგონებთ.

ახალი ლოგოტიპის ავტორები ამ ბრალდებას უარყოფენ. ლოგოტიპის დამამზადებელ კომპანიაში კი ამტკიცებენ, რომ მათ არასოდეს უნახავთ ფონდის ლოგოტიპი და იმასაც აცხადებენ, რომ სანამ მას საზოგადოებას წარუდგენდნენ, მათ მოაწყვეს მასშტაბური გამოკვლევა, რათა მათი ნამუშევარი უნიკალური ყოფილიყო.




## მეძავისგან – 25 მილიონი

**სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა სასამართლოში უჩივლა მეძავ ირმა ნიცის. მან ამით დაიწყო ბრძოლა ჭორებთან და ცილისწამებებთან. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მას არ ჰქონია სექსი ირმასთან. ბექჰემს პრეტენზიები, „სიყვარულის ქურუმის" გარდა, აქვს აგრეთვე ჟურნალთან „In Touchwwey, რომელმაც სექტემბერში გამოაქვეყნა მეძავის გულახდილი ისტორია. ფეხბურთელის პრეტენზია შეფასებულია 25 მილიონ დოლარად.**



„მე არასდროს შევხვედრივარ ნიცის. არავითარ სექსზე და ღალატზე ფულისთვის ლაპარაკიც არ შეიძლება", – ატყობინებს ბექჰემი ლოს-ანჟელესის სასამართლოს. ის ამტკიცებს, რომ მეძავმა შეაკოწიწა ფაქტები თავისი სექტემბრის სტატიისთვის.

„ირმას ნათქვამმა უამრავი პრობლემა შეგვიქმნა მეც და ჩემს ოჯახსაც, – ნათქვამია ბექჰემის განცხადებაში, – რითაც დაზარალდა ჩემი პირადი და პროფესიული ცხოვრება". ნიცის სტატიაში კი ნათქვამია, რომ ფეხბურთელი 2007 წელს სექსს ეწეოდა მასთანაც და მის კოლეგასთანაც. თანაც ბეკსმა მისი „სამსახური" არანაკლებ ხუთჯერ მოითხოვა.

## ყველაზე სექსუალურად აღიარეს

**ცნობილი დიდი ბრიტანელი მოდელი ლიუსი პინდერა გახდა 2010 წლის ლაურეატი. მისი მკერდი ერთხელ კიდევ აღიარეს ყველაზე ლამაზად, ხოლო თავად ქალიშვილი, შეუდარებელ ბრიტანელ ლამაზმანად.**

ბოლო წლებში პინდერი მტკიცედ დაეუფლა ინგლისის მთავარი სექს-სიმბოლოს წოდებას. შიშველი ქალიშვილის უამრავი ფოტოები იბეჭდება და იყიდება მის თაყვანისმცემელ მამაკაცთა შორის.

მან უკვე მიიღო არაოფიციალური ტიტული „2009 წლის დიდი ბრიტანეთის „საუკეთესო მკერდი". ჟურნალმა Nuts უკვე საუკეთესოდ აღიარა მხოლოდ მისი მკერდი კი არა, თავად ლამაზმანიც.

შეგახსენებთ, რომ ლიუსი ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივარია. მისი საყვარელი გუნდი „საუტჰემპტონია", თუმცა პრემიერ-ლიგაში მისი დაბრუნება მაინც და მაინც საიმედო არაა.



ჩვენი კარაბადინი

# მიმქრალი კოცონი

**ბევრი მამაკაცი გარკვეული ასაკის შემდეგ ამჩნევს პოტენციის დაქვეითებას და იწყებს შეშფოთებას მისი მიზეზების გამო.**

**იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გამოსავალი ამ სიტუაციიდან, გვიამბობს ფსიქოთერაპევტი ბიჭიკო გულიაშვილი.**



## სიტუაცია: სექსი გაცილებით იშვიათად სჭირდება

**მიზეზი.** მამაკაცის პოტენცია ექვემდებარება მნიშვნელოვან ასაკობრივ და ინდივიდუალურ რყევებს. ბევრი მეცნიერის მონაცემით, სქესობრივი ცხოვრების ნორმალური სიხშირე მამაკაცებისთვის მერყეობს სამი აქტიდან დღეში ერთ აქტამდე თვეში. მამაკაცების სქესობრივი აქტების საშუალო სიხშირე 30 წლამდე არის – სამი და მეტი კვირაში, 60 და მეტ ასაკში – ერთხელ 8-9 დღეში. ეს დამოკიდებულია აგრეთვე წინა სასქესო ცხოვრების ინტენსიურობაზე: ჩინელებს, მაგალითად, მიაჩნიათ, რომ ყოველი მამაკაცისთვის გამოყოფილია დაახლოებით 2000 სქესობრივი აქტი, და თუ მან ის უკვე „დახარჯა“ მჩქეფარე ახალგაზრდობაში, მომწიფებულ ასაკში მის განკარგულებაში ბევრი აღარ დარჩება.

სპეციალისტები ნორმად მიიჩნევენ, თუ მამაკაცი 30-დან 45 წლებს შორის შეძლებს, იცხოვროს სქესობრივი ცხოვრებით არანაკლებ ერთხელ კვირაში. ამას გარდა, ასაკთან ერთად უნდა ესწრაფვოდეს კონტაქტების სიხშირის არა გაზრდას ან შენარჩუნებას, არამედ უფრო „ხარისხიან“ სექსს და, როგორც წესი, მამაკაცების უმეტესობას ეს შეუძლია იმ პარტნიორ ქალთან, ვინც ისინი კარგად შეისწავლა.

**გამოსავალი.** სქესობრივი ფუნქცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობისა და ფიზიკური მზადყოფნისგან, აგრეთვე მისი „ვარჯიშის“ რეგულარობისგან. „ვარჯიშების“ მუდმივი და შედარებით მშვიდი რეჟიმი აუმჯობესებს მას. ასე რომ, ცოლს აქვს ყველა შანსი ასაკთან ერთად აღმოჩნდეს უფრო მიმზიდველი, ვიდრე ერთიმეორის შემცვლელი საყვარლები. თქვენ გაქვთ აგრეთვე შესაძლებლობა, იზრუნოთ ქმრის ჯანმრთელობაზე, მაგალითად, დაარწმუნოთ ის თქვენთან ერთად იაროს ფიტნესკლუბში ან ივარჯიშოს ტრენაჟორზე.

ასეთი ვარჯიშების დროს გამომუშავდება მეტად მნიშვნელოვანი ჰორმონი ენდორფინი (ანუ ბედნიერების ჰორმონი), რომელიც საუკეთესოდ წვრთნის სექსუალობას. მაგრამ ვარჯიში საჭიროა აქტიურად და სულ ცოტა ნახევარი საათი მაინც. თანაც ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი ძალა დავატანოთ თავს იმ ვარჯიშებით, რომლებიც არ მოგვწონს. თუ დატვირთვა გსიამოვნებს, მაშინ ჰორმონებიც მეტი გამომუშავდება. კიდევ უკეთეს ეფექტს შეიძლება მივაღწიოთ, თუ აერობიკას დავუმატებთ ძალისმიერ ვარჯიშებს ტრენაჟორებზე დამძიმებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ავჭიმოთ რკინა“. ეს გააძლიერებს სხვა „სექსუალურ“ ჰორმონს – ტესტოსტერონს.



მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვებაც. ზრდიან სიცოცხლის ტონუსს და შესაბამისად – სექსუალურ შესაძლებლობებს ის პროდუქტები, რომლებიც მდიდარია „ე“ ვიტამინით: ნიგოზი, თხილი, მზესუმზირა, ღვიძლი, კვერცხი, მარცვლეული (განსაკუთრებით წიწიბურა და შვრიაძ, ვაშლისა და სხვა ხილის მარცვლები, ხორბლის მარცვლები. სქესბრივი აქტიურობის შესანარჩუნებლად ხანდაზმულ წლებში სასარგებლოა ყველა პროდუქტი, რომლებიც ხელს უშლიან ათეროსკლეროზის განვითარებას, – ზღვის პროდუქტები, თევზი, კენკრა და ხილი, რომელიც „ც“ ვიტამინს შეიცავს, აგრეთვე სტაფილო, ოხრახუში, გარგარი, კომბოსტო, ტკბილი წიწაკა. სიბერეს ხელს უშლის აგრეთვე სელენი. ის ბევრია კიტრში, სოკოში, თევზსა და ბევრ მარცვლეულსა და ბოსტნეულში.

## სიტუაცია: ის ძნელად გადაერთვება ინტიმურ ურთიერთობაზე

**მიზეზი.** შეიძლება, ის ძალიან არის გადატვირთული მუშაობით, და ეს აისახება მის შინაგან მდგომარეობაზე. თანაც ჯანმრთელობამ შეიძლება შეგვახსენოს თავი: დაწყებულ ჰიპერტონიას, რომელიც დამახასიათებელია ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისთვის, ემატება ნელა მიმდინარე კუჭის წყლული, სადაც უკვე დიდი ხანია ტრანსფორმირება მოახდინა სტუდენტურმა გასტრიტმა, აგრეთვე ქრონიკულმა დაღლილობამ, რაც გროვდება ძალების მუდმივი გადაღლითა და უძილობით.

**გაითვალისწინეთ ასეთი მომენტიც:** სრულიად შეუძლებელია საბირჟო ცნობებიდან სრულფასოვან სექსზე სწრაფი გადართვა, რომელიც მოითხოვს ძალებსაც და აღქმის სიხალისესაც. თუ ახალგაზრდობაში ეს „თავისთავად“ ხდებოდა, ვინაიდან გატაცება დომინანტი იყო, რომელიც სძლევდა ყველა სხვა სურვილს, ახლა ეს ასე როდია. როდესაც ადამიანი სულ იმას ფიქრობს, თუ სად იშოვოს ფული – ამ სინდრომს ემორჩილებიან როგორც წარმატებული მენეჯერები, ისე უმუშევრებიც – მას უკვე სასიყვარულო სცენებისთვის აღარ სცალია.

**გამოსავალი.** შეეცადეთ შეცვალოთ თქვენი ინტიმური ურთიერთობების ვითარება, აგრეთვე მიეცით მას დრო, გადაერთოს „სხვა რეგისტრზე“. ეს შეიძლება იყოს როგორც დასვენება გამორთულ მობილურ ტელეფონთან ერთად, ასევე თქვენი ურთიერთობის რაიმე ატრიბუტის ცვლა: მაგალითად, გადაიტანეთ იგი უფრო ადრეულ დროზე, როდესაც ჯერ კიდევ გაქვთ ძალები ანდა საერთოდ დილისთვის.

## სიტუაცია: ის განიცდის, რომ საკმარისად ვერ გაკმაყოფილებთ

**მიზეზი.** ასაკთან ერთად იცვლება ქალური სექსუალობაც, ორგაზმის წარმოჩენა შეიძლება გახდეს სხვაგვარი ან ხანმოკლე. მამაკაცები, როგორც წესი, ძალიან იბნევიან, თუ მოულოდნელად ამჩნევენ ცოლის ძალიან ხანმოკლე ორგაზმებს. იწყება ეჭვი, კომპლექსები, არასაჭირო განცდები. არადა ქალის ორგაზმის ხანგრძლივობა – სავსებით ინდივიდუალური და არამუდმივია. 5 წამიდან 5 წუთამდე – ნორმაა. ამას გარდა არსებობს დაახლოებით 30 ნიშანი, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განსაზღვრო, რომ ქალმა მიაღწია უმაღლეს წერტილს, და არც ერთი მათგანი არ არის აბსოლუტური.

**გამოსავალი.** მეტი ილაპარაკეთ. დელიკატურად, მაგრამ გულახდილად უთხარით ქმარს, თუ რა არ გაძლევთ ხელს სექსუალურ ცხოვრებაში, ნუ მოგერიდებათ ანდოთ მას საკუთარი ფარული სურვილები. მაგრამ არც ქება უნდა დაივიწყოთ, ხაზგასმით აღნიშნეთ, როგორ გსიამოვნებთ მასთან. არ უნდა გვეშინოდეს ურთიერთობათა გარკვევის შედეგების. თუ დავიჯერებთ, რომ ის ყველაფერს გაიგებს, თუნდაც არა უმალვე, არ დაველოდებით წინასწარ უსიამოვნო შედეგებს და ფრთხილად განვიხილავთ სიტუაციას მისი წარმოქმნის უმალვე, სიყვარულის, ნდობისა და პატივისცემის, მაშასადამე, საყვარელი ადამიანის შენარჩუნების შანსი შეიძლება შეუდარებლად გაიზარდოს.

## სიტუაცია: ის გახდა მეტად პროზაული და დაკარგა ექსპერიმენტებისადმი ინტერესი

**მიზეზი.** მამაკაცი, თუმცა მას კი უყვარს ძიებანი სხვა დარგებში, არსებითად მეტად კონსერვატიულია: თუ ის მიეჩვია მიაღწიოს სიამოვნებას გარკვეული ხერხით, მას ზოგჯერ სხვა აღარაფერი უნდა. ამას გარდა, ასაკთან ერთად მას ეშინია, რომ „სხვაგვარად“ მას უკვე აღარ გამოუვა, თითოეულ წარუმატებლობას კი აღიქვამს გაცილებით უფრო მტკივნეულად, ვიდრე ახალგაზრდობაში.

**გამოსავალი.** შეიძლება, თქვენ ბევრი წაგიკითხავთ „ქალების“ რომანები და თქვენს თავს ამოწმებთ მათში გაჩაღებულ მგზნებარე სასიყვარულო სცენებით. გეჩვენებათ, რომ თქვენ თავად სავსებით დონეზე ხართ, აი ქმარი კი... იყავით უფრო ფრთხილად – საქმე გაქვთ შეუსაბამო სტანდარტებთან! დღეს ბულვარული პრესა და „საპნის ოპერები“ თავს გახვევენ სექსუალური ცხოვრების გაზრდილ სტერეოტიპებს, რომლებსაც შეუძლიათ დაანგრიონ სავსებით ჰარმონიული ცოლქმრული ცხოვრება. მამაკაცები ღრმა სასოწარკვეთაში ცვივდებიან, თუ არ შეუძლიათ იყვნენ შესაბამისობაში თავიდანვე გაზრდილ ნორმებთან. ამიტომ ეთამაშებით ცეცხლს.

მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც – თქვენ ორივე აღარ ზრუნავთ თქვენს სიყვარულზე. გაიხსენეთ: ერთი წლის წინათ იყო რაღაცის შეცვლის მცდელობა, შეგეტანათ ახალი სიმწვავე შეგრძნებებში. მაგრამ ეს არ გამოვიდა. მიზეზის გარკვევა არ დაგიწყიათ, არამედ უბრალოდ დაიმახსოვრეთ, რომ არ გამოვიდა და ხელი ჩაიქნიეთ ყოველგვარ ექსპერიმენტზე. სინამდვილეში კი სურვილი – გაგემრავალფეროვნებინათ სექსუალური ცხოვრება კი არ გამქრალა, არამედ მიიმალა. და შეიძლება მან რომელიმე თქვენგანს უბიძგოს ახალი პარტნიორის საძებნელად.

## სიტუაცია: ის ცხოვრების ყველა სასიხარულო ამბავს, მათ შორის სექსსაც, გულგრილად ხვდება

**მიზეზი.** სავსებით შესაძლებელია, რომ მას, მამაკაცს, დეპრესია ჰქონდეს. ქალს ძალიან უჭირს გამოიცნოს, ამიტომ არ აქვს ამ მდგომარეობას ზუსტად განსაზღვრული ობიექტური პარამეტრები. უბრალოდ, ადამიანი აღიქვამს სამყაროს, როგორც მოსაწყენს, ერთფეროვან ტილოს, რომელზეც მოძრაობენ ფერმკრთალი ჩრდილები. დეპრესია შეიძლება განვითარდეს, როგორც მახლობელი ადამიანების დაკარგვის შედეგი, ან, მაგალითად, როგორც გაკოტრება. ხდება, რომ საერთოდ არ არსებობს რაიმე თვალსაჩინო საბაბი. თანაც არა თავად ავადმყოფი, არამედ მისი მახლობლებიც ყოველთვის ვერ ანსხვავებენ ცუდ განწყობილებას ფარული დეპრესიისგან.

**გამოსავალი.** რასაკვირველია, მამაკაცებს არ უყვართ მიმართონ ექიმებს, მაგრამ იქნებ თქვენ შეძლოთ, დაარწმუნოთ იგი მივიდეს ფსიქოთერაპევტთან. და მაინც შეეცადეთ დასაწყისისთვის იკმაროთ უფრო „მსუბუქი“ საშუალებები.

შეეცადეთ, გახადოთ თქვენი მამაკაცის ცხოვრება მხიარული, რათა როდესაც სახლში მოვა, თავს გრძნობდეს, რომ განგაში და უსიამოვნებანი კარს მიღმა დატოვა.

ინფორმაცია

## ფრანგი ავედიკიანი ფარაჯანოვის როლს შეასრულებს

სერგო ფარაჯანოვის 90 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინაში ახალი მხატვრული ფილმის „ფარაჯანოვის“ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც ფილმის პროდიუსერმა, სცენარის ავტორმა და რეჟისორმა ლენა ფიტისოვამ განაცხადა, ფილმს კინოსტუდია „ინტერფილმში“ გადაიღებენ და მასში ჩართული იქნებიან სომხეთის, საქართველოს, საფრანგეთის და ნიდერლანდების მხარეებიც.

მისი თქმით, ეს იქნება ფილმი საკულტო რეჟისორის ცხოვრების შესახებ.

ფილმის გადაღებები საქართველოში, სომხეთში, უკრაინაში გაიმართება, ხოლო ფილმის ფინალს ნიდერლანდებში გადაიღებენ.

„ფარაჯანოვში“ მთავარ როლს ფრანგი მსახიობი და კინორეჟისორი, 2010 წლის კანის ფესტივალის ოქროს პალმის რტოს მფლობელი სერჟ ავედიკიანი შეასრულებს.



ავედიკიანის მთავარ როლზე მოწვევის იდეა უკრაინელ რეჟისორს რომან ბალაიანს ეკუთვნის, რომელიც აღნიშნულ პროექტში წარმოდგენილი იქნება როგორც მხატვრული ხელმძღვანელი და პროექტის კრეატიული პროდიუსერი.

თავის მხრივ ბალაიანმა უარი განაცხადა ყოფილიყო აღნიშნული ფილმის რეჟისორი, რადგან ის ახლოს იცნობდა ფარაჯანოვს, რასაც შეეძლო მისთვის აბსტრაგირებაში ხელი შეეშალა.

## მკვლელი პოლიციელებმა მოკლეს

დავით ქადეიშვილის ლიკვიდაცია გუშინ გამთენიისას, ორმხრივი სროლისას მოხდა. სამართალდამცველებმა ერთთვიანი ძებნის შემდეგ ბრალდებულის კვალს სწორედ გუშინ მიაგნეს. ქადეიშვილმა პოლიციელებს ცეცხლი თავადაც გაუხსნა.

ქადეიშვილი დაახლოებით ერთი თვის წინათ ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალში ნათესავი ხურციძეების ოჯახს დაესხა თავს. მან მამა-შვილი თევდორე და ირაკლი ხურციძეები დახოცა, რძალი ქეთევან აშუბა და 10 თვის ბავშვი კი დაჭრა, თავად კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ დამნაშავის კვალს სოფელ შრომაში, ქადეიშვილის მიერ კიდევ ორ ოჯახზე თავდასხმისას, დაზარალებულების მიერ პატრულის გამოძახების შემდეგ მიაგნეს. ქადეიშვილი, რომელმაც სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნა, ორმხრივი სროლისას სასიკვდილოდ დაიჭრა.

ჯი-ეიჩ-ენი

ბიძინა სონღულაშვილი, რობიზონ გვენეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ვლადიმერ დათებოვს მამის – ღვაწლმოსილი მეტრომშენებლის

მიხეილ არამის ძე დათებოვის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ნომრის კარიკატურა



◉ დღეზადღორის მაგივრად

# სიბინძურის ყულაბა,

## ანუ ვის როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება

### დიდი სკანდალი მწერალთა კავშირში „კვირის ქრონიკა“, 3-9 იანვარი 2011 წ.

პირველად შევცბი, მაგრამ ბოლოში რომ ჩავედი, სრულიად დაგეთანხმეთ. თქვენს გუშინდელ ახალ რუბრიკაზე მოგახსენებთ („სიბინძურის ყულაბა“ძ. ნამდვილად უნდა დაიგმოს ყოველგვარ ზღვარს გადასული ბილწსიტყვაობა როგორც პრესის ფურცლებზე, ისე ტელევიზიის ეკრანზე. ასე თუ გაგრძელდა, მალე, ალბათ, ტუალეტებიდან და გინეკოლოგიური თუ უროლოგიური კლინიკებიდანაც დავიწყებთ რეპორტაჟების წერას და გადმოცემას. ანდა სულაც შარვალ და ნიფხავჩახდილები ვივლით ქუჩებში და საჯაროდ, ყველას თვალწინ, უპატრონო ძაღლებივით გადავეკლიტებით ერთმანეთს. მე მგონია, ადამიანები ცოტათი მაინც უნდა განვსხვავდებოდეთ ცხოველებისგან.




კი, ბატონო, მოსწონს ყუბანეიშვილს ბილწსიტყვაობა, უშვერსიტყვაობა თუ ენამყრალობა, მაგრამ ჩვენ, საზოგადოებამ, მართლაც რა დავაშავეთ?! „24 საათის“ ყოველკვირეულმა „უიქენდმა“ რატომ უნდა შემოგვთავაზოს როგორც პოეზიის ნიმუში?!.

აი, თუნდაც ბოლო „კვირის ქრონიკა“ ავიღოთ. მწერალთა კავშირში სკანდალური სხდომა გამართულა. „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი ვ. ოთარაშვილი, როგორც ამ თანამდებობისთვის შეუფერებელი, გაუთავისუფლებიათ, მაგრამ ამ სხდომისთვის საგანგებოდ მოყვანილი ვ. ოთარაშვილის ვაიდამცველები სხვას რომ ვერაფერს გამხდარან, ეგრევე დედის გინებაზე გადასულან, და გაზეთიც, მეტი დოკუმენტურობის მიზნით, პირდაპირ სათაურად ბეჭდავს:

„დედა მოვტ... ან შენი... ეგეთი კავშირის დედა მოვტ... ან, თქვენი დედა მოვტ... ან!!!“

მაგრამ ვაი რომ „ყ“ ასოს გამოტოვება საქმეს ვერ შველის... სიტყვა მაინც მთელი თავისი შინაარსით აღიქმება სრულად.

და რეპორტაჟი გრძელდება: უცებ გლიჯინით იღება კარი, გამორბის ზაზა ქინქლაძე (ლაპარაკია პოეტ ზაზა ქინქლაძეზე, გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ თანამშრომელზეძ, რომელსაც ეკუთვნის ზემომოყვანილი უშვერი ენამყრალობა და ისევ:

შე ჩათლახო... მე და შენ შორის გიჟის დედა მოვტ... ან... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ერთი სიტყვით, ფრიად დასანანია, რომ პოეტმა ზაზა ქინქლძემ „კვირის ქრონიკის“ მკითხველებს ასეთი უხამსი „პოეზიით“ გაგვაცნო თავი... და არც „კვირის ქრონიკის“ პოზიცია მიგვაჩნია სწორად: გაზეთი თუ ჟურნალისტი ასენიზატორის როლში არ უნდა გვევლინებოდნენ. ასენიზაციას თავისი სპეციალური სამსახური აქვს მერიაში... ისე, ცნობისთვის: ბევრი ჟურნალისტისგან განსხვავებით, ასენიზატორს სიბინძურე გააქვს და არ შემოაქვს...

**კახა ბუზალაძე,**
*ჟურნალისტი, ქ. ქუთაისი.*

◉ დაიჯესტი

## პოლონური კალეიდოსკოპი

**ავტომანქანის საქარე მინაზე გამოსახული მწვანე ფოთოლი ნიშნავს: „ბატონებო, მე ახალბედა, გამოუცდელი მძღოლი ვარ, იყავით ჩემს მიმართ შემწყალებელნი!“** პიჯაკის გულის ჯიბეზე დამაგრებული ასეთი მწვანე ფოთლის სამკერდე ნიშნით მივიდა კოლექტივთან პირველ შეხვედრაზე ცნობილი პოლონელი მსახიობი ანჯეი შჩემკოვსკი, როცა იგი ვარშავის დრამატული თეატრის დირექტორად დანიშნეს.

* * *

**პოლონეთის ერთ-ერთი სოფლის მეურნეობის კოლეჯმა სენსაციური ანგარიში გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ მისმა სტუდენტებმა შაქრის ჭარხლის არნახული მოსავალი – ჰექტარზე ორი ათასი ცენტნერი აიღეს.** ანგარიშის გულდასმით შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ სტუდენტურ მეთოდს ფართო გამოყენება არ



უწერია, ვინაიდან ლაპარაკი იყო 0,5 კვადრატულ მეტრზე მოსული ერთი ათკილოგრამიანი ჭარხლის შესახებ. თუმცა მათი გამოანგარიშება სავსებით სწორი იყო.

* * *

**ვარშავის კულტურის და მეცნიერების სასახლეში დაბადებულ ბავშვს თითოეულ მის ოთახში მხოლოდ ერთი დღე რომ გაეტარებინა, იქიდან იგი... ცხრა წლის ასაკში გამოვიდოდა.**

* * *

**ქალაქ ელენე გურას კოლექციონერი ედვარდ კუცი სახელოვანი პიროვნებების ავტოგრაფებს აგროვებს.** მის კოლექციაში დაცულია ჯონ კენედის, იოსებ ბროზ ტიტოს, დუაიტ ეიზენჰაუერის, ასევე ივ მონტანის, ფერნანდელის, ჯულიეტ გრეკოს, პაბლო პიკასოს, ასევე ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო განგსტერის „ლაკი“ (ილბლიანიძ ლუჩანოსა და, წარმოიდგინეთ, კონგოს ყოფილი დიქტატორის მოიზ ჩომბეს ხელმოწერები.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

**იყიდება სასწრაფოდ!**
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +8 |
| ქუთაისი. | +7 – +14 |
| ბათუმი. | +8 – +14 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | -1 – +9 |

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

თუ ქუჩაში არ გახვალ და ყოველდღე მხოლოდ „კურიერს“ უყურებ, შეიძლება უნებლიეთ იფიქრო, რომ ცხოვრება მართლაც მშვენიერია.

* * *

ტყეში მაღაზია გახსნეს, რომელთანაც მალე გრძელი რიგი დადგა. კურდღელი ურიგოდ მიდის მაღაზიისკენ. დათვი კისერში სწვდება და უკან მოისვრის – რიგის ბოლოში დადექიო!

ასე ხდება ზედიზედ ორი დღე. მესამე დღესაც კურდღელი კვლავ ურიგოდ მიდის მაღაზიისკენ. დათვი ისევ რიგის ბოლოსკენ მოისვრის ყურცქვიტას.

კურდღელი ძლივს წამოდგება, მტვერს ჩამოიბერტყავს და ამოიკვნესებს:

– ამის დედა კი ვატირე, მესამე დღეა, მაღაზია ვერ გამიღია!..



თვითმფრინავი სიმაღლეს კარგავს, ვარდება. სალონში ორი პარაშუტია, მგზავრი კი – სამი კაცი, რომელთაც ვერაფრით ვერ გაუყვიათ პარაშუტები. ბოლოს ერთი მათგანი მუხლებზე დაეცემა და აქვითინდება:

– მე დამითმეთ, ცოლ-შვილი მყავს, იმათ ჭამა სჭირდებათ.

მისცეს, გადახტა.

– აჰა, პარაშუტი, გადახტი! – ეუბნება მეორე მესამეს.

– მერე შენ?

– მეც მაქვს.

– აბა, პირველი რით გადახტა?

– იმას სანოვაგის ტომარა მივეცი, ცოლ-შვილი ჰყავს გამოსაკვები.

* * *

სულელი თავის გარშემო მხოლოდ სულელებს ხედავს, ჭკვიანი – ჭკვიანებს, ბრძენი – ერთსაც და მეორესაც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.